ISSN 1512-1593

# გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი

# JOURNAL OF GELATI ACADEMY OF SCIENCES

2

2023

ჟურნალი გამოდის უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

**ილია** II-ის

კურთხევითა და ფინანსური ხელშეწყობით

გამოდის 2002 წლის
სექტემბრიდან

ჟურნალის დამაარსებელი **მაგალი თოდუა**

მთავარი რედაქტორი
**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი
**ეკა დადიანი**

რედაქტორი
**ბელა სურგულაძე**

სწავლული მდივანი
**თამარ ლეკვეიშვილი**

**ქუთაისი – 2023**

ყდაზე - პარხლის მონასტერი (IX ს., ტაო)

# საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქ ილია II–ის სააღდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

„გამოვიდა სიძე ჯოჯოხეთიდან, მკვდრეთით აღდგა ძლიერებით შემოსილი, სიკვდილი დათრგუნა და ტყვენი გაათავისუფლა" (წმ. იოანე ოქროპირი).

ქრისტე აღდგა!

დგება ჟამი ახალი პასექისა!

დღეს ზეიმობს ცა და მიწა, ხილული და უხილავი სამყარო; რა თქმა უნდა, ვზეიმობთ ჩვენც, რადგან ამ სასწაულით დასრულდა ამქვეყნად მაცხოვრის ღმერთკაცობრივი, გონებისთვის მიუწვდომელი ღვაწლი, ჩვენი ხსნისათვის გაღებული.

ამპარტავნების გამო აკრძალული ხისკენ ადამის გაწვდილი ხელის ნაცვლად, მწყემსი კეთილი საკუთარ ხელს იწვდის ჯვარზე მისამსჭვალად, განდიდების ნაცვლად თავზე ეკლიან გვირგვინს იდგამს და ჩვენი ცხონების სანაცვლოდ თავის სიცოცხლეს სწირავს.

ამ საოცარმა მსხვერპლმა სიკვდილისა და ჯოჯოხეთის საკვრელთაგან იხსნა ძველი აღთქმის მართალთა სულნი, ადამიდან და ევადან ვიდრე ქრისტეს აღდგომამდე შესვენებულნი და ცათა სასუფევლი დაუმკვიდრა მათ.

აღდგომის შემდეგ კი, სასუფევლის კარი ღიაა ყველა ქრისტიანისთვის, რომელნიც სულით და ხორცით განწმენდილნი წარდგებიან ღვთის წინაშე. ასეთ ადამიანთა სულებს ჯოჯოხეთი უკვე ვეღარ ეხება და გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ ისინი უფლის სავანეთა შინა განისვენებენ.

ამ სიხარულს ათასწლეულთა მანძილზე ელოდნენ თაობები.

უფალი მოვიდა, რომ წინაძღვრად ექცეს ჩვენს აზრს, გრძნობას, მოქმედებას, სულისა და გულის წადილს; რომ დაგვეხმაროს, შემოვბრუნდეთ და გამოვასწოროთ ჩვენი დაცემული ბუნების ნაკლოვანებანი; სულიერად გავიმართოთ და ჩვენი ცხოვრება მარადიულად მოზეიმე ზეცისკენ მიმავალი გზის დასაწყისად ვაქციოთ.

რა თქმა უნდა, ჩვენს სულსა და სხეულში ფესვგადგმული ცოდვისაგან თავის დახსნა ჭირს, რადგან ეშმაკი ათასნაირ მახეს უგებს მორწმუნეთ, რომ ღვთის გზა დაავიწყოს.

ამიტომაც ყველა ქრისტესმოყვარეს აუცილებლად ეკლიანი და ვიწრო ბილიკის გავლა მოუწევს და ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

დრო ისედაც დამძიმდა, მაგრამ არ შედრკეთ! მთავარია, ნებისმიერი ვითარებიდან სწორი დასკვნა გამოვიტანოთ, ღმერთს არ განვეშოროთ და მუდამ გვახსოვდეს მისი სიტყვები: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შენი მარჯვენის განმამტკიცებელი, მთქმელი შენდა მომართ: ნუ გეშინია, მე შეგეწევი" (ეს. 41.13); გვახსოვდეს და გჯეროდეს ისიც, რომ ბოლოს მაინც „უფლის მორწმუნეთ ყოველივე კეთილად წარემართებათ".

უფალი ყველას სიყვარულით ელის თავისთან, განსაკუთრებით – მონანულ ცოდვილთ, თუნდაც რომ მეთერთმეტე ჟამის მუშაკნი იყვნენ ისინი და ზეცისკენ მიმავალ აღმართზე შედგომასა და თანადგომას სთავაზობს მათ.

ასე რომ, წუთისოფლის ყოველი დღე მორწმუნეთათვის სულიერ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ბრძოლის ასპარეზია. ამ ბრძოლაში გამარჯვება გვმართებს. ხსნის გზა

გაკვალულია, მის გასავლელად კი ყველას პიროვნულად ჩვენი შრომა გვაქვს გასაწევი.

„სასუფეველი ცათა იიძულების; და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი” (მთ. 11, 12), – გვასწავლის მაცხოვარი; ანუ ცათა სასუფეველი დიდი ძალისხმევით მოიპოვება და ვინც ამ ღვაწლს გასწევს, ის დაიმკვიდრებს მასში ადგილს.

*****

როგორც აღვნიშნეთ, მაცხოვრის აღდგომის შემდეგ ძველი და ახალი აღთქმის მართალთა სულნი ღვთის საუფლოს მკვიდრნი გახდნენ და ხდებიან, მაგრამ მხოლოდ სულით მყოფობა ცათა შინა ჩვენთვის არ არის სრულყოფილი მდგომარეობა.

მაცხოვრის გამომხსნელობითი ღვაწლით სული თავის უხრწნელ სხეულს აუცილებლად შეიმოსავს და როგორც ჯვარცმით მართალთა სულნი ერთიანად დახსნილ იყვნენ ჯოჯოხეთის ტყვეობისაგან და ზეციურ დიდებაში გადაინაცვლეს, ასევე ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ მოხდება მკვდართა საყოველთაო აღდგომა.

„მოისმენენ საფლავში მყოფნი ღვთის ძის ხმას და გამოვლენ სიკეთის მოქმედნი სიცოცხლის აღდგომაში, ხოლო უკეთურებათა მოქმედნი სასჯელის აღდგომაში“ (ინ. 5: 28-29).

გარდაცვლილ მართალთა ხვედრზე კი ასე წერს წმინდა წერილი: „ითესება ხრწნილებაში და აღდგება უხრწნელებაში, ითესება უძლურებაში და აღდგება ძლიერებაში, ითესება უპატიობაში, აღდგება დიდებაში, ითესება მშვინვიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული“ (1კ ორ. 15: 42-44).

და მაინც, რა არის ამის საფუძველი?

იესო ქრისტეს მიწიერი მყოფობა, ჯვარცმამდეც და ჯვარცმის შემდეგ ამაღლებამდეც, ნებისმიერი დროის მორწმუნე ქრისტიანისთვის ცხოვრებისა და აზროვნების წესის განმსაზღვრელია და „თუ გვწამს, რომ იესო მოკვდა და აღდგა, ასევე ღმერთი მათაც (მართლებს), რომელნიც დაძინებულნი (გარდაცვლილნი) არიან, თავისთან მიიყვანს იესოს მიერ“ (1 თეს. 4: 14), ე.ი სასუფევლისათვის აღადგენს სხეულებრივად.

როგორც აღვნიშნეთ, ეს დღე ყველა მიცვალებულისათვის მეორედ მოსვლის შემდეგ დადგება, მაცხოვარმა კი აღდგომისთანავე უხრწნელი სულიერი სხეული შეიმოსა და გახდა პირმშო შესვენებულთა (გამოცხ. 1,5).

წმინდა სახარება ბრძანებს რომ, იესო ქრისტე ასეთი სახით ორმოცი დღის მანძილზე ეცხადებოდა მენელსაცხებლე დედებს, თავის მოწაფეებს, გამოეცხადა ხუთასზე მეტ ადამიანსაც...

თავდაპირველად ვერც დედები და ვერც მოწაფენი ვერ იჯერებდნენ, რომ იგი აღდგა და ცოცხალია, რადგან აწ უკვე უხრწნელი, უკვდავი და უვნებო მისი სხეული სახეცვლილი იყო. მაგრამ ამ დღეების მანძილზე მათ მიეცათ მტკიცე რწმენა და ცოდნა ცათა სასუფეველში სულიერი სხეულით შემოსილ რჩეულთა მომავალი მყოფობის შესახებ, რომელთაც მაცხოვრის მსგავსი უხრწნელი სხეული ექნებოდათ და გააცნობიერეს საბოლოო და უმთავრესი მიზანი ღვთის განკაცებისა, – სრულყოფილი სახით, სულისა და უხრწნელი სხეულის ერთობით, – მარადიული სიცოცხლისა და სიხარულის მინიჭება ადამიანისთვის, ანუ აღდგენა მისთვის იმ მდგომარეობისა, რისთვისაც და როგორადაც იგი შეიქმნა.

ამიტომაც, როდესაც მოწაფეებმა ცად ამაღლებული იესო ქრისტე იხილეს, სიხარულით აღვსილნი დაბრუნდნენ იერუსალიმში.

თუ მათ ჯვარცმისას უფალი მიატოვეს და ძრწოდნენ ქვეყნის მთავართა და მღვდელმთავართა შიშით, ახლა განძლიერდნენ; სულთმოფენობის შემდეგ კი დიდ საიდუმლოებებს ზიარებულნი იმდენად განმტკიცდნენ, რომ მზად იყვნენ ყველგან და ყველას წინაშე დაუბრკოლებლად დაემოწმებინათ უფლის სწავლება და თავი დაედოთ მისთვის.

ეს რწმენა მოციქულებმა მთელ მსოფლიოს მოჰფინეს.

ყოველივე ეს საფუძველია მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. იგი განაპირობებს ჩვენს მრწამსსაც და, მეორედ მოსვლის შემდეგ, ყველას სხეულებრივი აღდგომის გარდაუვალობასაც; ამიტომაც ბრძანებს მოციქული: თუ მიგაჩნიათ, „რომ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე

აღმდგარა. მაშ ფუჭი ყოფილა ჩვენი რწმენა” (1 კორ. 15: 16-17), ხოლო ვისაც სჯერა აღდგომის, ყველას გვმართებს ზრუნვა, როგორც სულის, ისე სხეულის სიწმინდისათვის, რათა ჩვენზეც აღსრულდეს იესოს ნათქვამი: „ვისაც მე ვუყვარვარ, დაიცავს ჩემს სიტყვას, და მამა ჩემი შეიყვარებს მას, და მივალთ და მასთან დავივანებთ” (ინ.14.23).

ზემოაღნიშნულზე კიდევ ერთხელ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ხშირად ჩვენთან გადამეტებულად და უნუგეშოდ იციან გლოვა და მწუხარება.

მართალია, ახლობელთან განშორება ძალიან დიდი ტკივილია, მაგრამ თუ მორწმუნენი ვართ, უნდა გვჯეროდეს, რომ სიკვდილი იძლია მაცხოვრის მიერ, რომ გარდაცვლილ ახლობელთა სულები ცოცხლები არიან, უფრო მეტად ცოცხლები, ვიდრე ჩვენ ვართ. ჩვენ კი მათთვის, პირველ რიგში, სულიერი ზრუნვა გვმართებს, რაც ლოცვაში და მათ სახელზე სიკეთეთა ქმნაში გამოიხატება, რათა საყოველთაო განკითხვის ჟამს, ჩვენი ეს ქველმოქმედება მათ მიეთვალოთ. ამასთან, ამგვარი ღვაწლი ამქვეყნად სიკეთედ შეგვერაცხება და ჩვენს მომავალ ცხოვრებასაც შეეწევა.

*****

სამწუხაროდ, ადრეც და, მით უმეტეს ჩვენს დროშიც, მრავლად არიან ადამიანები, რომელთაც ათეისტური აზროვნება აქვთ და მიაჩნიათ, რომ ღმერთი არ არსებობს, არ არსებობს არც ქრისტეს აღდგომა და არც საუკუნო ცხოვრება. მათი აზრით, ჩვენს გონებას დღეს თუ არა ხვალ შეუძლია ყველა კითხვას გასცეს პასუხი და ჩაანაცვლოს ღვთის ყოვლისშემძლეობაც.

რა თქმა უნდა, იყვნენ და არიან ათეისტი მეცნიერებიც, რომლებიც ვერ ხედავენ სამყაროში შემოქმედის ნაკვალევს. ასეთ სულისკვეთებას ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების არნახული წარმატებები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენს დროში; მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მრავალ უდიდეს მკვლევარს სწორედ მეცნიერულმა აღმოჩენებმა დაანახა კავშირი ქმნილებასა და ღმერთს შორის, დაანახა, რომ სამყარო არ შეიძლება იყოს შემთხვევითობის შედეგი.

მათი საერთო განწყობის გამომხატველია დიდი გერმანელი ფიზიკოსის, კვანტური ფიზიკის ფუძემდებლის ვერნერ ჰაიზენბერგის სიტყვები: „მეცნიერების სასმისის პირველმა ყლუპმა შესაძლოა ათეიზმს გაზიაროს, მაგრამ სასმისის ბოლოს აუცილებლად ღმერთი გელოდება".

ბუნება სიბრძნის მშვენიერების, გონიერების ღვთაებრივი წიგნია, რომლის მართვა უფლისმიერი გონით ხდება და ეს ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა.

დედამიწაზეც და კოსმოსშიც მოქმედებს დიდი კანონები და კანონზომიერებანი, რომლებიც ადამიანს არ დაუწესებია და ეს წესრიგი ჩვენი ნებისა და აზროვნების გარეშე არსებობს; ჩვენ კი მხოლოდ მათი შეცნობა შეგვიძლია და – ისიც ნაწილობრივ.

მინდა გაგახსენოთ იერუსალიმში დიდებით შესვლისას მაცხოვრის სიტყვები: „ესენი (ადამიანები) რომ დადუმდნენ, ქვები დაიწყებენ ღაღადს" (ლკ. 19,40). და მართლაც, როდესაც ჯვარცმისას თითქმის ყველა განუდგა იესოს, უტყვმა ბუნებამ „ღაღადებით" ამცნო დიდება ღვთისა, – შეიძრა მიწა, დაბნელდა მზე, თავიდან ბოლომდე დაირღვა ტაძრის კრეტსაბმელი... რის ხილვამაც ყველა გააოგნა. ბუნება კვლავაც „ღაღადებს", მთავარია, სმენის უნარი გვქონდეს და ვაღიაროთ, რომ ვერანაირი მატერია ვერ გახდება ცოცხალი თავისით, მით უმეტეს სიცოცხლის გადამცემი შთამომავლობაში, და რომ მხოლოდ სიცოცხლე შობს სიცოცხლეს, რომლის საწყისიც არის მასში, ვინც არის სათავე მარადიული სიცოცხლისა და თავად სიცოცხლე.

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" (ინ.14.6), – ბრძანებს მაცხოვარი.

*****

ქრისტიანული ცხოვრება, პირველ რიგში, გულისხმობს, მართებული წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორ გამოვიყენოთ ღვთისგან ბოძებული უდიდესი საჩუქარი – თავისუფალი ნება, ანუ ჩვენი თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ნებისმიერ სიტუაციაში.

თავისუფლება ადამიანმა შეიძლება დაკარგოს ძალმომრეობით და მის დასაბრუნებლად, ბუნებრივია, უნდა იზრუნოს; მაგრამ შესაძლოა ადამიანმა თავისუფლება

დაკარგოს ცრუ თავისუფლების სახელით და სულიერ მონობაში აღმოჩნდეს.

სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოების ნაწილი სწორედ ამ მდგომარეობაშია და თავისუფლებას მიიჩნევს ყველაფრის უფლებად, რაც მორწმუნე ადამიანისათვის კატეგორიულად მიუღებელია.

ყველაფრის უფლების დამკვიდრება ხდება ზნეობრიობის უგულებელყოფით და ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობის დაკარგვით; მისი შინა-არსის სრული სახეცვლილებითა და გაუკუღმართებით; ამიტომაცაა, რომ თავისუფლების, სიყვარულის, ადამიანის ღირსების... შესახებ ყველა საუბრობს, მაგრამ დღეს უკვე რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობით.

ჩვენთვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი თავის შეცნობას, სრულყოფისაკენ სწრაფვას, ჩვენი სულის სიღრმეში ღვთის ხატად შექმნილი ჩვენი დაფარული „მე”-ს პოვნას.

თავისუფლება სწორედ ამ რეალურ „მე”-მდე მიღწევა და მისი აღმოჩენაა, ცოდვითი ცხოვრებისგან განშორება და არასწორი წარმოდგენებისგან თავის დახსნაა.

მოციქული გვეუბნება: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია” (1 კორ. 6:12).

იგივე მოციქული სხვაგან ბრძანებს: „ხოლო თქვენ, თავისუფლებისათვის ხართ მოწოდებულნი, ძმებო, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს. ვინაიდან მთელ რჯულს ეს ერთი მცნება მოიცავს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი” (გალ. 5: 13-14).

ამ სიტყვებით კარგად ჩანს, რომ ჭეშმარიტად თავისუფალი პიროვნება თავისუფალია ეგოიზმისგან და მისი ცხოვრება სიყვარულზე, ზნეობასა და სათნოებაზეა დამყარებული. ასეთ ადამიანთა სიმრავლე ქვეყნის სიძლიერეა.

ჩვენს საზოგადოებაში კი ქვეყანაზე ზრუნვის მოტივით, სამწუხაროდ, მრავალი მხრიდან აქვს ადგილი კატეგორიულ აზროვნებას და მძლავრობს აგრესიული მეტყველება, რაც მოსახლეობაში მკვეთრ პოლარიზებას იწვევს.

ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რამდენად საშიშია ასეთი დამოკიდებულება სიტყვასთან.

სიტყვა ენერგიაა, დადებითი ან უარყოფითი, და თანაც ძალიან ძლიერი, რომელიც თავის გავლენას, პირველ რიგში, მათზე ახდენს, ვისგანაც იგი წარმოითქმის, შემდეგ კი აისახება სხვებზე და საერთოდ გარემოზე;

წმ. პატრიარქი ამბროსი ხელაია მოგვიწოდებს: „თუ დავუდებთ ჩვენს თავისუფლებას საფუძვლად ქრისტეს ზნეობრივ სწავლას და მისი იდეალების ცხოვრებაში განხორციელებას, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვიყოთ სასარგებლო წევრნი სახელმწიფოსი”.

*****

ჩვენ ვცხოვრობთ რთულ პერიოდში, ფეთქებადსაშიშ დროში, როდესაც ბირთვული კატასტროფის საფრთხე რეალურია; ამიტომაც განსაკუთრებით ვფიქრობთ მშვიდობაზე, რომელიც არის ძვირფასი საღვთო ძღვენი.

„ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ ისინი ძედ ღვთისად იწოდნენ” – გვასწავლის უფალი და ჩვენ, როგორც იესო ქრისტეს მიმდევრებს, გვაქვს ვალდებულება, სიტყვით, საქმით, მოქმედებით ვიღვაწოთ მშვიდობისათვის; მშვიდობით ვემსახუროთ ერთმანეთს და სამშობლოს.

მხოლოდ მშვიდობიანობის დროს არის შესაძლებელი ნათლად გავაცნობიეროთ ჩვენი დანიშნულება და ღვთივმომადლებული უნარი წარმოვაჩინოთ; ხოლო იმ გარემოში, სადაც ადგილი აქვს მტრობას, ძალადობას, უსამართლობას, მშვიდობა ვერ დაივანებს.

ომი კი მშვიდობის საპირწონე უკიდურესი ბოროტებაა, უფლის მცნებათა დარღვევაა და მრავალთა სიცოცხლის ხელყოფა.

საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყანა მტერთა შემოსევებს იგერიებდა და მშვიდობა მუდამ სანუკვარი გვქონდა. დღესაც ქვეყანა უმძიმეს პერიოდს გადის და ძალისამებრ ჩვენისა გვმართებს, ვიზრუნოთ ჩვენი მშვიდობიანი ხვალინდელი დღისათვის, ვიზრუნოთ ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, ჩვენს ძმებთან – აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძვლის შექმნისთვის.

შევთხოვ უფალს, მოწყალე თვალით მოხედოს საქართველოს და დიდ ჭირთა და განსაცდელთაგან გვიხსნას.

ვკადნიერდები და ასევე ვთხოვ ტკბილ იესოს, როგორც აკურთხა მან მშვიდობით აღდგომის შემდეგ მოციქულები, უკრაინა და მთელი მსოფლიო ღირს-ყოს მიმართვისა: „მშვიდობა თქვენდა!"

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო,

მაშ, ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და ვიქადოდეთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით.

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და შევიმოსოთ მისი ძლიერებით.

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით, გვქონდეს სასოება ღმერთთან ერთობისა და ნუ იქნება ფუჭი ჩვენი რწმენა.

ქრისტე აღდგა!

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და ერთობით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმინდასა სულსა, რომელსა შვენის პატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე.

ამინ!

მერაბ კეზევაძე

# გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა (1811-1923)

## წერილი პირველი

გელათის მონასტრის მართვა-გამგეობის საკვლევი პერიოდში (1811-1923 წწ.) რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა: 1) 1811-1820 წწ., როცა, მიუხედავად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა, ჯერ კიდევ გრძელდება საუკუნეებგამოვლილი, მონასტრის ტიპიკონს დაფუძნებული მმართველობა, 2) 1821-1917 წწ., ეგზარქოსობის პერიოდი, როცა მონასტერი საშტატო მმართველობას დაექვემდებარა და 3) 1917-1923 წწ. – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან მონასტრის გაუქმებამდე.

პირველი ეტაპი, როგორც აღვნიშნეთ, გაგრძელება იყო მონასტრის მართვა-გამგეობის დროში გამოცდილი დიდი ტრადიციისა. საეკლესიო რეფორმამდელი გელათის მონასტრის ხელმძღვანელობას ახორციელებდა გელათის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტი ეფვთიმე გენათელი (ამას 1822 წლის ივლისში გელათში ჩამოსული ჟაკ ფრანსუა გამბაც აღნიშნავს – მ.კ.). ჩვენი აზრით, ეს უკვე ტრადიციად ქცეულ ფაქტს წარმოადგენდა და განპირობებული იყო იმით, რომ მონასტრის მთავარი, ღმრთისმშობლის შობის ტაძარი გელათის ეპარქიის საკათედრო ტაძარი იყო, რომელსაც ტრადიციულად საკუთარი წინამძღვარი (არქიმანდრიტი) არ ჰყოლია. რომ ჰყოლოდა, ის გამოჩნდებოდა იმ ცამეტ

არქიმანდრიტს შორის, რომლებიც დასახელებულია იმერეთის მეფე ბაგრატ V-ის 1669 წელს რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილ წერილში, სადაც გელათის მიტროპოლიტი გედევანი შემდეგი ტიტულატურითაა წარმოდგენილი: „დიდისა დავით აღმაშენებელისა დიდი საყდრის გაენათისა გაენათელი მიტროპოლიტი გედევან“ (Броссе-Переписка 1861: 82, 83).

ჩვენთვის არც მონასტრის თავდაპირველი და, საერთოდ, საეკლესიო რეფორმამდელი კრებულის წევრთა რაოდენობაა ცნობილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის რამდენიმე ათეულ ადამიანს შეადგენდა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს 1189 წლით დათარიღებული გელათის სიგელი (ჟორდანია 1897: 73), თამარ მეფისაგან ბოძებული, რომელიც გელათის მონასტრის გარეთ არსებულ მოღვაწე 12 მწირ ბერს (მონასტერთან ახლოს მცხოვრებთ, ალბათ მეტოქის ძმებს) მონასტრის ძმების თანაბრად უჩენთ ტრაპეზს. მართალია, ეს საკმაოდ ადრინდელი ფაქტია, მაგრამ ვარაუდის საშუალებას გვაძლევს, რომ მონასტრის კრებულის რაოდენობა წარმოვიდგინოთ. ასევე, შეიძლება ამ საკითხზე მსჯელობა მონასტრის გვიანდელი სატრაპეზოს, როგორც ყოფილი აკადემიის შენობის, ასევე, კიდევ უფრო გვიანდელი სატრაპეზოს ფართის მიხედვითაც.

მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია გელათის მონასტრის ძველ ტიპიკონს, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნიდა რეფორმამდელი მონასტრის მართვა-გამგეობასა და კრებულზე, მაგრამ სხვადასხვა დოკუმენტით მაინც ხერხდება აღნიშნული საკითხის შესწავლა.

რეფორმის წინა პერიოდის, უშუალოდ 1811-1820 წლების, გელათის მონასტრის მართვა-გამეგობაში აქაურ ბერ-მონაზვნებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვა მოსამსახურეებიც. როგორც 1861 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, მიტროპოლიტ ეფვთიმეს წესად ჰქონია, რომ უმეტესი ნაწილი კრებულისა ჰყოლოდა „თეთრად მოსილი მოსამსახურეები“: მგალობლები, მედავითნეები, მეკლიტულნი, მოსამსახურე-მოჯალაბნენი, რომლებიც ოჯახებით შემოსახლებული იყვნენ მონასტრის გალავნის კედლებს. მოგვიანებით (მე-19 საუკუნის 60-იან წლებში) მათი აქედან გადასახლების საკითხი დაისვა, რამდენადაც უკვე აღარ ემსახურებოდნენ

მონასტერს (ქიმ, გელათის მონასტრის არქივი, №6466, ს. 161). 1819 წლის დოკუმენტიდან ჩანს, რომ მიტროპოლიტ ეფვთიმესთან მარად ყოფილა 32 მსახური, რომლებიც, რა თქმა უნდა, მონასტრის მართვასთან ერთად მთელი ეპარქიის მართვა-გამგეობაშიც მონაწილეობდნენ (სცა, ფ. 488, ან. 1, ს. 361, ფ. 46). ეს ტრადიცია შემდეგაც გრძელდებოდა, როცა 1821 წელს, შტატების დაწესებისას, იმერეთის ეპარქიის მმართველს გელათის მონასტერში შვიდი კომლი საეკლესიო ყმის მსახურად აყვანის უფლება მიეცა. მათ აღარ ერთმეოდათ საეკლესიო ფულადი გამოსაღები: „ესრეთ გარნა რათა იცვამდნენ სვამდენ და სჭამდენ თავიანთის სახლიდამ“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 52, ფ. 2).

იმერეთის საეკლესიო მართვის (რომელიც რეფორმით დადგინდა) სახელმძღვანელო დოკუმენტში – 1821 წლის 19 ნოემბერს იმპერატორისგან დამტკიცებულ სინოდის მოხსენებითი ბარათის მეხუთე და მეექვსე პუნქტებში განხილული იყო სამონასტრო ცხოვრების ახლებური მოწყობა, კერძოდ, მეხუთე პუნქტი ითვალისწინებდა ამ მონასტრების რიცხვის შემცირებას, ან ბერ-მონაზონთა რაოდენობის გაზრდას (იმ დროისათვის იმერეთის 15 მონასტერში სულ 48 ბერ-მონაზონი იყო). მეექვსე პუნქტი კი გელათისა (რომელზედაც ორი – მოწამეთის და გოგნის უდაბნო იყო მიწერილი) და ჯრუჭის მონასტრებში შტატის დაწესებას ითვალისწინებდა, კერძოდ, გელათის მონასტერს, აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ქვაბთახევის მონასტრის მსგავსად, წელიწადში უნდა დანიშნოდა არსებობისათვის 1700 მანეთი (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 539, ფ. 6). მეხუთე და მეექვსე პუნქტებიდან სინოდმა რეალურად მეხუთე პუნქტის შესრულების პირველი ვარიანტი – მონასტრების რაოდენობის შემცირება განახორციელა.

იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გელათის მონასტრის მართვა-გამგეობაში. თუ ადრე მას დამოუკიდებელი ავტონომიური მმართველობა ჰქონდა, რეფორმის შემდეგ ის რუსეთის იმპერიის სხვა მონასტრების მსგავსად, უწმიდესი სინოდის რეგლამენტირებული უფლებებით არსებობდა; მონასტერი აღარ ცხოვრობდა საუკუნეებგამოვლილი თავისი საკუთარი ტიპიკონით.

გელათის მონასტრის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა წინამძღვარი, მონასტრის სამეურნეო საქმიანობის მართვაში მას ეხმარებოდა ეკონომოსი. მონასტრის მთავარ, ღმრთისმშობლის შობის ტაძარში XIX საუკუნის 70-იან წლებამდე კიდევ მოქმედებდა ოთხი სამწირველო – ეკვდერი, რომელთაც თავიანთი წინამძღვრები (იღუმენები) ჰყავდათ, თუმცა, როგორც 1850 წლის ერთ დოკუმენტშია აღნიშნული, წმ. მარინეს და წმ. ანდრია მოციქულის ეკვდრებში წელიწადში „ორ გზის არ იქნება წირვა-ლოცვა“ (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 4637, ფ. 1). ამავე საუკუნის 50-იან წლებამდე კი მონასტრის კრებულში ჩანან მგალობლებიც. მგალობელთა გელათური სკოლა საუკუნეების განმავლობაში მთელ საქართველოში სახელგანთქმული იყო.

როგორც აღვნიშნეთ, საეკლესიო რეფორმის შემდეგ გელათის მონასტერი შტატის დაწესებულებად იქცა. ეგზარქოსობის პერიოდში სამჯერ დასტურდება მონასტრის შტატების რეგლამენტირება: პირველად – 1821 წელს, მეორედ – 1861 წელს, მესამედ – 1882 წელს (ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად მოქმედებდა მონასტრის გაუქმებამდე, 1923 წლამდე). ეგზარქოსობის დროინდელ გელათის მონასტრის კრებულზე, კერძოდ, მის შემადგენლობასა და ძმათა ნამსახურობაზე, ყველაზე ადრინდელი სრულყოფილი მონაცემები 1832 წლით დათარიღებული მოგვეპოვება. ამ დოკუმენტით ჩანს, რომ მონასტრის კრებულში არის 15 წევრი: 1 წინამძღვარი (არქიმანდრიტი), 5 იღუმენი (აქედან 3 სამწირველოების წინამღვრები იყვნენ ), 3 მღვდელ-მონაზონი, 1 ბერ-დიაონი და 1 მწირი ბერი (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 488, ფ. 7).

1843 წელს შტატით გელათის მონასტრის კრებულში უნდა ყოფილიყო 13 ბერი: 1 არქიმანდრიტი, 4 იღუმენი, 2 მღვდელმონაზონი, 4 მღვდელი, 1 ბერ-დიაკონი, 1 დიაკონი. ფაქტობრივად კი იყვნენ („თვალად მდგომარეობენ“) : 1 არქიმანდრიტი, 5 იღუმენი, 3 მღვდელ-მონაზონი, 1 ბერ-დიაკონი, 1 ეკონომოსი, 4 მღვდელმსახური და 1 დიაკონი. სულ – 16 (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 965, ფ. 25, 26). გარდა ამისა, სამ-სამი ბერი მსახურობდა მონასტერზე მიწერილ მოწამეთისა და გოგნის უდაბნოებში (იქვე).

სხვადასხვა წლების მიხედვით მონასტრის კრებულის შემადგენლობა ასეთი იყო:

| 1860 წ. (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 6888, ფ. 192) | 1870 წ. (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 10972, ფ. 235) | 1882 წ. (ქცა, ფ. 21. ან.1. ს. 25853. ფ.48, 49) |
|---|---|---|
| წინამძღვარი - 1 | წინამძღვარი - 1 | წინამძღვარი - 1 |
| (არქიმანდრიტი) | (არქიმანდრიტი) | (არქიმანდრიტი) |
| იღუმენი - 1 | – | – |
| მღვდ.-მონაზონი - 6 | მღვდ. - მონაზონი - 9 | მღვდ. - მონაზონი - 7 |
| ბერ-დიაკონი - 2 | ბერდიაკონი - 2 | ბერდიაკონი - 2 |
| მწირი ბერი -1 | – | – |
| მორჩილი - 2 | მორჩილი -3 | მორჩილი - 4 |

კრებულის წევრთა საშტატო მდგომარეობა თავისთავად ნიშნავს, რომ ისინი იღებდნენ ხელფასს, რომელიც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა რაოდენობისა იყო. 1821 წელს დამტიცებული მონასტრის ხარჯთაღრიცხვით, წინამძღვარს ეძლეოდა წლიურად 600 მან, კრებულს კი მთლიანად – 1269 მან. (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 308, ფ. 6). მონასტრის კრებულის წევრებზე რეფორმის შემდგომ პირველ წლებში გაცემული ხელფასის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იერარქიულად ერთი და იმავე ხარისხის პირებზე სხვადასხვა რაოდენობის თანხა გაიცემოდა. მაგალითად, 1823 წელს მონასტერში მოღვაწე ზოგ იღუმენს 50 მან. აქვს მიღებული, ზოგს კი – 45 მან; ზოგ ბერ-დიაკონს – 20 მან., ზოგს კი – 15 მან. (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 308, ფ. 4, 5, ს. 52, ფ. 1), რაც შტატების მოუწესრიგებლობით, უფრო სწორად, მათი დაწესებისას დაშვებული შეცდომებით უნდა ავხსნათ. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, იმერეთის მეფეების დროს მონასტრის ძმები „ერთსა ღირსებებსა და უფლებებში ყოფილან“. ეგზარქოს თეოფილაქტეს დაწესებული შტატებით კი, როგორც ვთქვით, ერთი ხარისხის პირებს სხვადასხვა ხელფასი ეძლეოდათ. როცა 1829 წელს გელათის მონასტრის იღუმენებმა გრიგოლმა და ვასილმა ამ უკანონობის გაუქმება მოითხოვეს, სინოდის კანტორისგან უარი მიიღეს (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 529, ფ. 2, 3).

1861 წლის 21 ნოემბერს რუსეთის იმპერატორის დამტკიცებული უწმიდესი სინოდის მოხსენების საფუძველზე გელათის მონასტრის კრებულის შენახვა წლიურად ჯდებოდა 1296 მან. (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 10972, ფ. 8), საიდანაც წინამძღვარი იღებდა 600 მან.-ს, 2 მღვდელ-მონაზონი – 160 მან.-ს (თითოს – 80 მან.), 5 მღვდელ-მონაზონი – 300 მან.-ს (თითოს – 60 მან.), 1 მღვდელ- მონაზონი – 50 მან.-ს, 1 მღვდელ-მონაზონი – 40 მან.-ს, 2 ბერ-დიაკონი – 80 მან.-ს (თითოს – 40 მან.), 2 მორჩილი – 50 მან.-ს (თითოს – 25 მან.) და 1 მორჩილი –16 მან.-ს (იქვე, ფ. 15, 16).

1882 წლის 30 ნოემბერს დამტკიცებული ბრძანებით, გელათის მონასტრის შენახვა წლიურად ჯდებოდა 2730 მან. (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 25853, ფ. 46), რომელიც კრებულის წევრებზე შემდეგნაირად ნაწილდებოდა: მონასტრის წინამძღვარს– 800 მან. 7 მღვდელ-მონაზონს – 980 მან. (თითოს 140 მან.), 2 ბერ-დიაკონს 200 მან. (თითოს 100 მან.), 4 მორჩილს 320 მან. (თითოს – 80 მან.), მსახურების დასაქირავებლად გათვალისწინებული იყო 280 მან და სხვა ხარჯებისთვის – 150 მან. (იქვე, ფ. 46, 47). როგორც ვხედავთ, ხელფასები გაიზარდა. ამ ხარჯთაღრიცხვით, გელათის მონასტრის კრებულზე, იმერეთის ეპარქიის სხვა მონასტრებთან შედარებით, ყველაზე დიდი თანხა იხარჯებოდა. შედარებისათვის, მოწამეთის დავით და კონსტანტინეს სახელობის მონასტრის შენახვა სულ 1110 მან. ჯდებოდა წელიწადში (იქვე, ფ. 48, 49). გელათის მონასტერი ამ ხარჯთაღრიცხვით ფინანსდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე.

1883 წლის 10 მაისს იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი გელათის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ სერაპიონს აცნობებდა, რომ ახალი საშტატო განრიგის შესაბამისად, მისი აზრის გათვალისწინებით, შტატის მღვდელმონაზვნებად დაამტკიცა: დანიელი, გერასიმე, მაკარი, იასონი, ვასილი, გაბრიელი და გრიგოლი, ხოლო შტატის მორჩილებად: ევსტათი გაბელაია, ისაკ ახვლედიანი, ვასილ ნიშნიანიძე და თეოფილე ბერეკაშვილი (ქიმ, გელათის მონასტრის არქივი, №6466, ს. 678).

ეგზარქოსობის პერიოდში მონასტრის კრებულს არაერთგზის მიუმართავს იმერეთის ეპარქიის

მმართველისათვის ხელფასის სიმცირის ჩივილით, ხელფასი კი ნამდვილად მცირე იყო იმ შემოსავალთან შედარებით, რომელიც მონასტერს გააჩნდა საეკლესიო მამულების ხაზინაზე გადაცემამდე. როგორც 1849 წელს მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სიმონი მიტროპოლიტ დავითს წერდა: „ამ დიდებულის მონასტრის ყმისა და მამულისაგან ექვსი ათასი მანეთი შემოდის ხაზინაში რომელიც ნახევარს იმერეთის შემოსავალს უდრის“ (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 4468, ფ.1), ჩვენ კი საეკლესიო შესამოსლები არა გვაქვსო და ითხოვს მათ შესაძენად დახმარებას. ჯეროვანი შესამოსლები კი ნამდვილად ჭირდებოდათ, რადგანაც „მონასტერში მრავალნი უცხო ქვეყნის კაცნი დადიან სანახავად, რომელნიც ბევრგზის წირვა-ლოცვაზედ ესწრებიან“ (იქვე).

გელათის მონასტრის კრებულის ეკონომიკური სიღარიბე კარგად ჩანს მათ მიერ იმერეთის ეპისკოპოს ექვთიმესათვის 1853 წლის 18 ივლისს მირთმეულ თხოვნაში: „მაღალ ყ˜დ უსამღვდელოესო მეუფევო უწყის მეუფებამან თქუენმან მდგომარევობა სიმდაბლისა ჩვენისა ესრეთ რომელ თვინიერ ჯამაგირისა არა რაი ნუგეშუნუსცემა მოიპოვება რომლითა მცირედი ნუგეშინის ცემა მოვიპოვოთ“, ითხოვენ მდინარე ჭიშურაზე სათევზაოდ ადგილ ღრუდოში, რომელიც ძველთაგანვე გელათის მონასტრის საკუთრება იყო, თავიანთი წილის მიცემას (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 5372, ფ.1).

უფრო მოგვიანებით, 1854 წლის 17 თებერვალს იგივე კრებული იმავე ეპისკოპოსს ისევ კუთვნილ წილს სთხოვდა – ამჟამად გელათის ჭალაზე არქიმანდრიტ სვიმონისაგან გაკეთებულ წისქვილისა და დუქნისაგან „ერთი ნაწილი რომელიც უფალი მონასტრის მამა წინამძღვარი იქმნეს ის მიირთმევდეს და ორი ნაწილი ერთბაშად ჩვენ ძმებთა გვეზომებოდეს“-ო (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 5372, ფ. 2).

ეპისკოპოსმა ექვთიმემ სასწრაფოდ დაავალა გელათის მონასტრის წინამძღვარს, დაუყოვნებლივ მოეხსენებინა, თუ რატომ არ აძლევდა კრებულის წევრებს წილს (იქვე, ფ. 3). ამასთან დაკავშირებით წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა თეოფანემ ეპისკოპოსისაგან მოითხოვა, თუ რის საფუძველზე და როგორ გაეცა წილი. აქამდე მას ამაზე არაფერი განკარგულება ჰქონია. იგი წერს: „განსაზღვრებით მიბრძანოთ თუ როგორ მოვიქცე ვითარსა საგანსა ზედა

რომელიც ჩემ მიერ შეუცილებლად აღსრულებულ იქმნება და რათამცა არა სდრტვინავდნენ კრებული წმიდისა ამისა მონასტრისანი რომელთა ზედაცა აქამომდე არა ყოფილ არს განსაზღვრება“ (იქვე, ფ. 4).

ხელფასის სიმცირეს კრებულის წევრები განსაკუთრებით მწვავედ მაშინ გრძნობდნენ, როცა მოუსავლიანი წლები იყო. ასეთი წლები კი არაიშვიათად დგებოდა. 1870 წლის 25 აპრილს სურსათის სიძვირით შეწუხებულმა კრებულმა დახმარებისათვის თხოვნით მიმართა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს. თხოვნაში აღნიშნავდნენ: „სიმცირის გამო ჩუენი ჯამაგირისა და უქონლობისა გამო ჩუენის შემოსავლისა, ჩუენი ცხოვრება მაშინაც არის გაჭირვებული, როდესაც არსებობს ჩუენს ქუეყანაშიდ სიუხვე და იეფობა ხორაგთა, ხოლო აწმყო დროშიდ როდესაც სწუხს ჩვენი მხარე სიძვირისა გამო ხორაგთა, ვართ შთავარდნილი თვით უკიდურესს მდგომარეობაშიდ. ასე რომ ჩუენი ჯამაგირი კნინღა ხმელი საჭმლისათვის არა არს კმა საყოფელი მაშინ ოდესაც არს საჭირო ჩუენთვის სამოსნი და სხუანი ნუგეშნი რადგან აწმყო დროშიდ არა იმექონების არავითარი წყარო მომატებისათვის ჩუენდამი ჯამაგირებისა გარდაუსვლელობისა გამო საეკლესიო მამულთა სახაზინო უწყებაში და ამისათვის უმორჩილესადგთხოვთმმოწყალეომეუფეოშეხვიდეთჩუენს გაჭირვებულს მდგომარეობაშიდ ისაშვალოდ ნუგეშისათვის ჩუენისა უკე თუ არა სხვა სახით მაშა ნახევარის წლის ჯამაგირით დასაჩუქრებისათვის ჩუენისა ამ სიძვირეშიდ და ამით დაგვიმტკიცეთ მოწყალება და ყურადღება თქვენი ჩუენზედ“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 11422, ფ. 1, 2). თვით ისეთმა გულმოწყალე პიროვნებამ, როგორიც გაბრიელ ეპისკოპოსი იყო, ვერ მოახერხა კრებულისათვის დახმარების გაწევა, რასაც თავის პასუხში ფულადი სახსრების უქონლობითა და, რაც მთავარია, შესაბამისი კანონის არარსებობით ხსნიდა. ამასთანავე, კრებულს ურჩევდა მეტი ეშრომათ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

მოუსავლიანი წლების გარდა, კრებულის ეკონომიკურ მდგომარეობას ზოგჯერ აუარესებდა საერო ხელისუფლების უგულისყურო დამოკიდებულება, არა კონკრეტულად გელათის მონასტრისადმი, საერთოდ ეკლესიისადმი,

როგორც ეს მოხდა ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის მიმართ დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის დროს. ეს კაგად ჩანს გელათის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ნესტორის, მონასტრის კრებულის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 1919 წლის 24 სექტემბერს ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისათვის (ლეჟავა) გაგზავნილ მოხსენებაში, რომელშიც წერდა: „გელათის მონასტერში საკრებულო შემოსავალი ძლიერ მცირეა. ხაზინიდან არის დანიშნული მცირე ჯამაგირი და იმასაც დროზე არ იძლევიან, მაგალითად, აპრილის აქეთ ჯამაგირი არ გვაქვს მიღებული, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ: 1. კეთილ ინებოთ განკარგულება რომ ჯამაგირი გვაძლიონ თავ-თავის დროზე; 2. რაც შემოწირულება იქმნეს ან ცხოველებისა, ან პურ-ღვინის (გარდა საზედაშე ღვინისა და სასეფისკვრე პურისა, რომელნიც უნდა დარჩეს ეკლესიას), ან სხვა სანოვაგისა, ის იყოს წინამძღვრის და კრებულის სასარგებლოდ მოხმარებული, როგორც ეს ხდება მოწამეთის მონასტერში დიდი ხნიდან, მიუხედავად იმისა, რომ მოწამეთის მონასტერში საკრებულო შემოსავალი ოცჯერ მეტი მაინც იქმნება გელათის საკრებულოს შემოსავალზე და ძველ დროშიაც, რავდენადაც მახსოვს საეკლესიო ისტორიიდგან, ზემო აღნიშნული შემოწირულება მიდიოდა კრებულის სასარგებლოდ“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 28024, ფ. 1). მიტროპოლიტი, როგორც წერილზე დადებული რეზოლუციიდან ჩანს, არქიმანდრიტის წინადადებას დათანხმდა: „დაკმაყოფილდეს დროებით“, მაგრამ, ეტყობა, მომდევნო წელს ისევ დადგა იგივე პრობლემა. იმავე საკითხზე კვლავ მიმართა არქიმანდრიტმა მიტროპოლიტს, რომელმაც საკითხის გადასაწყვეტად უკვე საკათალიკოსო საბჭოს მიმართა, საიდანაც 1920 წლის 23 ოქტომბერს ასეთი პასუხი მიიღო: „განემარტოს ქუთაისის საეპარქიო მმართველობას, რომ მონასტრის კრებულის ყოველგვარი შემოსავალი ფულით თუ ნატურით უნდა აღინუსხებოდეს საზოგადო დავთარში და ამ შემოსავლიდან წინამძღვარს უნდა ეძლეოდეს 10 ნაწილი. თვითეულს მღვდელ-მონაზონს – 6 ნაწილი, თვითეულს იეროდიაკონს - 5 ნაწილი

და თვითეულ წიგნის მკითხველს და მორჩილს – ოთხ-ოთხი ნაწილი“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 28024, ფ. 1).

ასეთი მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, კრებულის თითოეული წევრი ღვთისმსახურებასთან ერთად ძალ-ღონეს არ იშურებდა მონასტრის მოვლა-დაცვისათვის. მათი საქმიანობა კარგადაა აღწერილი შემდეგ დოკუმენტში: „1923-სა წელსა მარტის 6-სა დღესა ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერთა გელათის მონასტრის წინამძღვარმა და კრებულმა მოვილაპარაკეთ მონასტრის ქონების მოვლა-დაცვაზე და სამონასტრო საქმეების განაწილებაზე და დავადგინეთ შემდეგი: 1) წინამძღვარმა, როგორც ამ დრომდინაც იყო, აწარმოვოს მიწერ-მოწერა მონასტრის საქმეების შესახებ, როცა დაისაჭიროს საქმემ, მოეხმაროს ეკონომოსს წიგნის წარმოებაში, თვალყური ადევნოს ღვთის მსახურების აღსრულებას და სხვა სამონასტრო საქმეებს, 2) ეკონომოსმა მღ-მონაზონმა ათანასემ დაიცვას ეკლესიის ქონება, აწარმოვოს შესავალ-გასავლის წიგნი, მოუაროს ფუტკარს და წისქვილს, 3) იღუმენმა მათემ აცხოს სეფისკვერი, 4) მღ. მონაზონ ეპიფანეს მიენდოს გალავნის დიდი კარების და რკინის კარების გასაღებები და თავ-თავის დროზე გააღოს და დაკეტოს, 5) მღ-მონაზონს სილოვანეს დაევალოს ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს წიგნების კითხვა. შენიშვნა: ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს სიარული და წიგნების კითხვა ყველასათვის სავალდებულოა, მაგრამ წინების კითხვა სხვებზე მომეტებულად ევალება სილოვანს, რადგანაც ის სხვა სამონასტრო საქმეებისგან თავისუფალია, 6) მღ- მონაზონს დოდოს ევალება ჩიხაოს მოვლა და ღამე გამთევ სტუმრების და მლოცველების მიღება ჩიხაოში შენახულ ყოველივე ნივთების დაცვა დაკარგვისა, გატეხისა და გაფუჭებისაგან, 7) მღ. მონაზონს ევთიმეს ევალება მორჩილ იოსებ ლეჟავასთან ერთად მონასტრის ეზოს დასუფთავება და სუფთად შენახვა, 8) მთავარ დიაკონს ლუკა ჭირაქაძეს მორჩილის დახმარებით და ეკონომოსის ზედამხედველობით ევალება ეკლესიის დაგვა-დახვეტა-დასუფთავება, შანდლების დაწმენდა და ხატების სუფთად შენახვა. ზემო აღნიშნულნი პირნი ვალდებული ვართ ჩვენდამი მინდობილი საქმე რიგიანად და დაუზარებლად შევასრულოთ, რასა შინა ხელს ვაწერთ: წინამძღვარი

მონასტრისა არხიმანდრიტ ნესტორ, მღვდელმონაზონი ათანასე, მღ. მონაზონი დოდო, მღვდელმონაზონი ექვთიმე, მღვდელმონაზონი სილოვანე, იღუმენი მათე, იოსაფატი“ (ტყეშელაშვილი 2007: 272-273). ამ კონკრეტული დოკუმენტით კარგად ჩანს, თუ როგორ იყო ორგანიზებული მონასტრის კრებულის საქმიანობა.

საეკლესიო რეფორმაგატარებულ გელათის მონასტერში თავდაპირველად ის კრებული განაგრძობდა მოღვაწეობას, რომლის წევრებიც ძირითადად დიდი სჯულის კანონის საფუძველზე იყვნენ აღკვეცილნი და მონასტრის საკუთარ ტიპიკონს იცავდნენ. 1832 წლიდან კი მონასტერში მიღება ამავე წლის 29 მაისს დამტკიცებული საერთო იმპერიული კანონით ხდებოდა, რომელიც ადგენდა, რომ მონაზვნად შეიძლება აღიკვეცოს საერო ადამიანი 30 წლის ასაკში, ხოლო თუ ღვთისმეტყველების კურსი აქვს გავლილი – 25 წლის ასაკში, ქვრივი მღვდელმსახურები კი – ნებისმიერ ასაკში. ქალები აღიკვეცებიან 40 წლის ასაკში. მონაზვნობას აუცილებლად წინ უძღოდა არანაკლებ 3 წლისა მორჩილად ყოფნა. ეს არ ეხებოდათ სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულთ და ქვრივებს. შეიძლება ყოფილიყო სხვა გამონაკლისიც (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 841, ფ. 1, 2).

ეგზარქოსობის დროის გელათის მონასტერს, განსაკუთრებით მის კრებულს, სასულიერო მმართველობასთან ერთად, მუდმივ ზედამხედველობას უწევდა საერო ხელისუფლება. სახელმწიფოს ისე, როგორც ყველგან, არც მონასტერში უნდოდა არასაიმედო და მთავრობის საწინააღმდეგოდ განწყობილი ადამიანები. ეს ზედამხედველობა განსაკუთრებით გამკაცრდა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რევოლუციური აქტიურობის გაძლიერების გამო. მთავრობა რომ მეთვალყურეობას უწევდა მონასტრის ძმებს და საერთოდ მონასტერში მიმდინარე მოვლენებს, ეს ნათლად ჩანს 1884 წლის 14 ივნისს ეპისკოპოს გაბრიელის მიერ გელათის მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ სერაპიონისათვის გაგაზავნილი წერილიდან, რომელიც „სრულიად საიდუმლოდ“ გრიფითაა. ისეთი მრავალმხრივ განათლებული და ეროვნული მოღვაწე, როგორიც წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი იყო, იძლებული

გახდა შეექმნა შემდეგი სახელმძღვანელო დოკუმენტი: „უმაღლესის მთავრობის ბრძანების ძალით, მოგიწერთ თქვენ, რომ იქონიოთ მუდმივი და მკაცრი ყურადღება, რათა თქვენდამო რწმუნებულს მონასტერში არ ექმნესთ არავითარი ადგილი იმისთანა პირთ, რომელნიც თავიანთის მიმართლებით, რწმენით და აზრით არიან არა საიმედონი, არა კეთილ გამზრახველნი და საეჭვონი და რომელნიც განიზრახვებს რაიმე ცუდს მართებლობისა და საზოგადო წყობილების წინააღმდეგ. თუ ვინმე ამგვარი პირი არის დღეს მონასტერში მიღებული შეცდომით გინა მორჩილად, გინა მგალობლად, გინა მოსამსახურედ და გინა სხვა რაიმე თანამდებობაში ეხლავე დაუყონებლივ დაითხოვეთ, აგრეთვე მიიღებდეთ მონასტერში მოსამსახურედ ან სხვა ხელობაში მხოლოდ იმისთანა პირთ, რომელთ შესახებ გაქვსთ შეკრებილი ნამდვილი დაწვრილებითი ცნობები, ხოლო მორჩილად არავის მიღება არ გაბედოთ მონასტერში, სანამ ჩემგან და სამოქალაქო მთავრობისაგან ნებართვა არ მიიღოთ და ცნობა, რომ მორჩილად შემომსვლელი არის კეთილსაიმედო პირი პოლიტიკურის მხრით“ (ქიმ, იმერეთის ეპარქიის არქივი, №6861, ს. 131). მიუხედავად ასეთი მკაცრი მეთვალყურეობისა, მონასტრის კრებულში ზოგჯერ მაინც აღმოჩნდებოდა მთავრობისათვის არასასურველი პიროვნება. ასე მოხდა 1904 წელს, როცა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნამორაძე), რომელიც ორი წლის შემდეგ „რევოლუციონერობისათვის“ წინამძღვრობიდან გაათავისუფლეს და რუსეთში გადასახლება მიუსაჯეს, არადა მის წინამძღვრად დანიშვნას დიდი იმედით შეხვდა საზოგადოება. მისდამი მიძღვნილ წერილში გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „ერთს დროს დიდებული გელათის მონასტერი მოუთმენლად მოელოდა მხნე წინამძღვარს, – და აკი კიდეც მიეცა ასეთი წინამძღვარი – ეს წინამძღვარია მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი... გელათის მონასტრის წინამძღვარი, მუყაითი, მარჯვე, მხნე სასარგებლო მოღვაწეობის გულმხურვალე მოყვარულია... ბევრი აქვს გასაკეთებელი გელათის მონასტერში... ბევრი რამ ეჭირვება ამ სავანეს... იმედია რომ მომავალი არქიმანდრიტი ნიკოლოზი წრფელის გულით შეიყვარებს დავით-თამარის სავანეს, -სადაც ამ დიდებულ მეფეთა სული იქცევის და

მადლი ისადგურებს, – გახდება ამ სავანის ნამდვილი მამა, – ეცდება აღაყვაოს იგი თვისის მღვდელ-მთავრის ყოვლად სამღვდელო ლეონიდის ლოცვა-კურთხევით და დარიგებით და აღუდგინოს ძველი აქ დაკარგული სახელი და დიდება... (ივერია 1904, №224: 3).

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის გელათის მონასტერში მორჩილებად პიროვნებების მიღება უკვე ერთგვარად რეგლამენტირებული იყო. როგორც მონასტრის წინამძღვრის მიერ ეკონომოს მღვდელ-მონაზონ დანიელისადმი გაგზავნილი წერილით ჩანს, თითო ბერს უფლება არ ჰქონდა სამზე მეტი მორჩილის (შეგირდის) აყვანისა (ქიმ, გელათის მონასტრის არქივი, №6466, ს. 930). მათ აუცილებლად უნდა ჰქონოდათ წარმოდგენილი პირადობის მოწმობები. მორჩილებ, ძირითადად მედავითნეებად ამზადებდნენ ეკლესიებისათვის (იქვე: ს. 1003, ს. 1004). გელათის მონასტრის კრებულის შემადგენლობა სოციალურად მრავალფეროვანი იყო, მასში ყველა წოდება იყო წარმოდგენილი, თუმცა წინამძღვრები ძირითადად თავად-აზნაურთა წრიდან იყვნენ.

მონასტრის ძმათა ყოფა-საქმიანობას საინტერესოდ აღწერს 1833 წელს გელათში ჩამოსული ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერ-მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. მისი თქმით: „ბერები მარტო ცხოვრობენ თავიანთ პატარა ხის სახლებში, რომლებიც სენაკის მაგივრობას სწევენ. მერხზე ან შემაღლებულ ადგილზე, რომელიც მიწიდან რამდენიმე გოჯის სიმაღლეზეა, გადაფარებულია ძველი ქეჩა ან ხალიჩა და იგი საწოლად გამოიყენება. ლოცვების ძველი წიგნები თაროებზეა შემოწყობილი, უღარიბესი ტანსაცმელი კი რამდენიმე ლურსმანზე კიდია.

ზოგიერთი ბერი წერა-კითხვას ასწავლის ახალგაზრდებს, რომელთაგანაც უმრავლესობა შემდეგში სოფლის მღვდელი ხდება, სხვები, როცა ეკლესიაში თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდებიან ხატავენ სურათებს ან ხისგან კვეთენ ეკლესიებსა და ჯვრების პატარა ფიგურებს. მათ შორის იყო ერთი ბერი, რომელიც მშვენიერ ნივთებს აკეთებდა“ (მგალობლიშვილი... 2000: 85) (ჩვენი აზრით ეს ბერი უნდა იყოს ბერ-დიაკონი იოანე ბახტაძე, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი). როგორც

ამ ამონარიდიდან ჩანს, XIX საუკუნის 30-იან წლებში გელათის მონასტრის ბერები დაკნინებულად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ განეგრძოთ მონასტრის დაარსების დროინდელ ძმათა ტრადიციები, სამონასტრო სკოლა-სწავლებაც შენარჩუნებულია.

მონასტრის ყველა წინამძღვარი ცდილობდა, რომ კრებულის თითოეულ წევრს, ტიპიკონის შესაბამისად ღირსეულად ეცხოვრა და მონასტრის სხვა ძმებთანაც კეთილი ურთერთობა ჰქონოდა, თუმცა ყოველთვის ეს ვერ ხერხდებოდა. ამ შემთხვევაში წინამძღვრები უმეტესწილად დიდ სიმკაცრეს იჩენდნენ წესრიგის დასამყარებლად. ასე მაგალითად, როცა მონასტერში მყოფმა გიორგი გურგენიძემ – რუსეთში გადასახლებული, გელათის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ზაქარიას ძმამ ლოთობა დაიწყო და ოთხჯერ ხანძარიც გააჩინა მონასტერში, წინამძღვარი ნიკოლოზი 1834 წლის 27 დეკემბერს იძულებული გახდა, მიუხედავად გურგენიძის წარსულის დამსახურებისა (სტამბის მუშაკობა) და მოხუცებულობისა, ეთხოვა იმერეთის ეპისკოპოს სოფრონიოსისათვის მისი სხვაგან გადაყვანა, „რათა სამღვდელონი უშიშრად ეგოს მონასტერსა შ˜ა მისის ლოთობის გამო, და მონასტერი არა დაეცეს ცეცხლითა“ (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 1084, ფ. 1).

1864 წელს კი გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ონიფანტე არამონაზვნურ ქცევაში რომ ამხელდა მღვდელ-მონაზონ ისააკს (დოღონაძე), მსგავსი თხოვნით მიმართავდა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს. ეს ის ისააკია, რომელმაც ისტორიას შემოუნახა 1851 წელს ლეკთაგან დავით-გარეჯის მონასტრის დარბევისა და 1859 წელს ხახულის ხატის გატაცების ისტორიული ფაქტები. არქიმანდრიტი ონიფანტე წერდა: „თუმცა მე დიდის ხნიდამ ვიცნობ კარგად რ˜ლ ამა მონასტერსა შინა მყოფი მღვდელ-მონაზონი ისააკი იყო ყოვლის ბოროტებით აღვსილი და ჩემის თვალითაც დამინახავს, რომ ერთხელ შუაღამისას ის მოიყვანეს ლევანა ჭირაქაძის ოჯახიდან დაჭერილი ბაწრით არაწმინდებისათვის, მაშინდელ წინამძღვართან, ეგრეთვე მედანოსე რომელი საქმეებთაგანაც სჩანს და მრავალგზის დაუჩემებია, მას გაუგზავნია ცამეტამდე დანოსი უწმინდესის მმართველის სინოდისადმი, სხვა და სხვა

პირთადმი, ეგრეთვე მრავალგზის დაუწერია საზიზღარი ლექსები დედათ მონაზვნებთადმი და მრავალსგზისცა დასჯილა იგი სხვა და სხვა მონასტრებთა წარგზავნითა. და უკანასკნელ იყო წაყვანილი მიტროპოლიტ დავითისაგან გარეჯის მონასტერშიდ, საიდანაც მოიტაცეს ლეკებმა. გარნა დასასჯელად აქაურთა კრებულთა კ˜დ მობრუნებულ იქნა და რადგან დღეს ის არის მოხუცებული მე ვაიმედებდი თავსა ჩემსას რ˜ლ ის იქნებოდა ამგვარის ბოროტებაზედ ხელაღებული, მაგრამ რაც მე ვხედავ ცხადად მას არა გალბობია გული მოხუცებულობისა გამო და ა˜დ არს კ˜დ იმავე ხასიათზედ გამოურიცხველად რომელსა მოვახსენებ თითოეულად“ და ჩამოთვლის:

1) „ის იქცევა ეკლესიაშიდ უშვერად, ამაყად, ამპარტავნად, სიცილითა და ლაპარაკითა და მიაქვს თავის თავის უმაღლეს ყოველთა აქა მყოფთა პირთა რ˜ი მრავლის დარიგებითა არა დასდგა წესიერებაზედ“.

2) „წინეთ ამისა შეუმზადებია დანოსი რომელსა ლაპარაკშიდ უეცრად წარმოთქმით გავუგე და რა შევედი განხილაშიდ არა დაფარა და სთქვა რომ მას გამოუგზავნა არქიმანდრიტმან ნიკოლოზმან თავისი ნათლისმამის დიმიტრი კანდელაკის ხელით და სთხოვა რომ გაუგზავნოს კანტორაშიდ მაგრამ მე ვიცოდი მათ ქონდათ ბოვშობიდან ერთმანეთში მტრობა და მივაწერე ერთს მხოლოდ მეშურნეობას და განუტევე“.

3) „წარსულს თვეშიდ თვითონ მე შევესწარი რომ ერთს თავის შაგილდს და თვით ისაკი ეუბნებოდნენ ერთმანეთს ლექსებს. იმ ლექსებითა აგინებდა დედას ისეთი საზიზღარი სიტყვით, რომ არავის ქრისტიანისაგან არა მსმენია, რაზედაც ჩავაგდე დიდს საყვედურში და გავაგდე მონასტრიდამ ის შაგირდიცა და თხოვნისა გამო მისისა მივუტევე მოხუცებულობისა გამო ამგვარი ბოროტება“.

4) „წარსულს კვირაშიდ გავიგე რომ მას დაუწერია დანოსი, რაღაც საგანზე და ოცდათერთმეტის იანვრისთვის გაუგზავნია კანტორაშიდ საზოგადო კრებულის მაგიერად. ეს საიდუმლო გავანდვე ყ˜დ სამღვდელოს ეპისკოპოსს იოვანეს, ვითომც მე არ ვიციო რა, მას შეეტყო კერძოობითა რაზედაც გუშნდელს რიცხვში გამოკითხა და აღიარა, რომ ნამდვილ გაგზავნა და დასძინა რომ მღვდელ-მონაზონი

დანიელ და ვასილის მეტი ყველა იყვნენ იმ საჩივარშიო, რომლისა თქმაზედ ერთი აქაური მღვდელიცა იყო მაყურებელად ამაზედ მე ჩამოვართვი ჩვენება თვითოეულს მათგანას და აღიარეს რ˜ლ მათ არავისზედ დრტვინვა... არა აქვს და არც იციან არავითარი გარემოება ამა საქმისა. შემდგომ ჩვენების ჩამორთმევისა მე ერთობით კრებულს გამოვუცხადე ისრეთ როგორც მქონდა შეტყობილი. ამაზედ კრებულმა ერთობით ეახლენ ყ˜დ სამღვდელოს იოვანეს განუცხადეს გარემოება ამა საქმისა და სთხოვეს მოციქულად მიგზავნა ისააკ ბერისადმი; ყ˜დ სამღვდელომ რომ იცოდა წინეთ დაწვრილებით გარემოება ისაკისაგან სასიამოვნოდაც დაურჩა, რომ განრჩეულიყო მათ შ˜ს ბოროტება და თუ ვინმე ერია უსათუოდ გამოჩნდებოდა, დაიბარა ისაკი და უბრძანა ორთა მათგანთა საიდუმლოდ გაჩერებულიყო მის სახლში მაყურებელად, მოისვა გვერდს და გამოიკითხა პირველისამებრ ამ დროს განცვიფრდა ბერი და იუცხოვა ამ ამბის გაგონება, შემდეგ უბრძანა ყ˜დ სამღვდელომ მაგაზე უარს როგორ იტყვიო შენ არ იყავი რომ გუშინ ნაწირევს აღიარე ჩემთან ამ სახით ყოველივე გარემოება, ამ დროს რადგან ბერს ეგონა მაყურებელი არავინ იყო იქ პირით დაიწყო ყვირილი საშიშარი ფიცი ვითომც არც ეთქვას და არც იცოდეს ეს ანბავი და ხელით ეხვევა ყ˜დ სამღვდელოს ვითომ დაფაროს ეს ამბავი. შემდგომ წაუდგნენ პირში ერთმანეთს და დაშთა განქიქებული აღნიშნული ბერი რომელთათვის ვსთხოვ უმორჩილესად ყ˜დ უსამღვდელოესობასა თქვენსა განაშოროთ ამა მონასტერსა აღნიშნული მღვდელმონაზონი რათა ამგვარის კლიაზნობისაგან იყვნეს შესვენებული აქაური კრებული“ (ქცა, ფ. 21 ,ან.1, ს. 8825, ფ. 1, 4).

ამ წერილში ნათლად ჩანს როგორც მონასტრის კრებულის, ასევე წინამძღვარისა და ეპისკოპოსის დამოკიდებულება მონაზვნისათვის შეუფერებელ საქციელზე. საყოველთაოდ ცნობილია ასეთ საქციელზე გაბრიელ ეპისკოპოსის უკომპრომისო დამოკიდებულება. მან სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება მღვდელ-მონაზონ ისააკის ჭელიშის მონასტერში გადაყვანაზე (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 8825, ფ. 1, 2).

მღვდელ-მონაზონ ისააკთან დაკავშირებით ერთიც გვინდა გავიხსენოთ: XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მას

დაპირისპირება ჰქონდა გელათის მონასტრის მღვდელ სიმონ კანდელაკთან, რომელსაც მონასტრის ქონების მითვისებასა და უზნეობაში ადანაშაულებდა და რომლის ნათლიაც არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი იყო. თავად ისააკი მასზე დაწესებულ ყოველ სასჯელს ამ ნათელ-მირონობას მიაწერდა (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 2547, ფ. 17, ს. 4035, ფ. 2).

ჭელიშის მონასტერში გადაყვანილ მღვდელ-მონაზონ ისააკს დიდხანს აღარ უცოცხლია. 1868 წელს გარდაცვლილსა და გელათის მონასტერში დაკრძალულს საფლავის ქვაზე მრავლისმთქმელი წარწერა აქვს: „ღმერთო შეიწყალე უღირსი ისააკ ბერი ამინ. ჩყიᲑ ნოემბერი“ (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 24112, ფ. 33).

საბედნიეროდ, ასეთი ფაქტები გელათის მონასტრის ისტორიიდან თითზე დასათვლელია.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ივერია 1904 – გაზეთი „ივერია“, 1904, №224, 29.09.

მწყემსი 1884 – ჟურნალი „მწყემსი“, 1884, №24, 16.12.

სცა – საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, ან. 1, ს. 361.

უწყებანი 2003 – გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2003, №34, 29.08.-4.09.

ქართული სამართლის ძეგლები 1970 – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, თბილისი, 1970.

ქიმ – ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, იმერეთის ეპარქიის არქივი, №6861, ს.131; გელათის მონასტრის არქივი, №6466, ს.161, 246, 307, 678, 763, 768, 771, 930, 1003, 1004.

ქცა – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი (ფ.) 1, ანაწერი (ან.) 1, საქმე (ს.): 7759; ფ. 21, ან. 1, ს.: 52, 308, 392, 488, 529, 539, 565, 678, 841, 961, 965, 966, 1084, 1240, 1413, 1589, 1945, 2163, 2453, 2547, 4035, 4309, 4352, 4468, 4480, 4637, 4658, 5372, 6400, 6888, 6978, 8825, 9041, 10972, 11422, 16724, 24112, 24119, 25114, 25853, 28024; ფ. 59 ან. 1, ს. 109; ფ. 296 ან. 1, ს.153.

ხელნაწერთა აღწერილობა 1959 (1) – ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1, თბილისი, 1959.

ხელნაწერთა აღწერილობა 1959 (2) – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. 6, თბილისი, 1959.

გამბა 1987 – გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერ-კავკასიაში, ტ. I, თბილისი, 1987.

კაკაბაძე 1921 – კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფილისი, 1921.

კეზევაძე 2006 – კეზევაძე მ., გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006.

მგალობლიშვილი... 2000 – მგალობლიშვილი მ., მიქიაშვილი ლ., ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები გელათის შესახებ. ანალები, თბილისი, 2000.

ნადარეიშვილი 1903 – ნადარეიშვილი გ., ქართველთა ივერიის მონასტერი ათონის მთაზედ. ჟურნალი „მოგზაური“, 1903, №4.

ჟორდანია 1987 – ჟორდანია თ., ქრონიკები... წ. II. ტფილისი, 1897.

ტყეშელაშვილი 2007 – ტყეშელაშვილი გ., გელათის საგანძური, ქუთაისი, 2007.

Броссе-Переписка – Броссе-Переписка М., Грузинских царей с Россисками государями. С-Пб.,1861.

Merab Kezevadze

## GOVERNANCE AND MANAGEMENT OF GELATI MONASTERY (1811-1923) LETTER ONE

Summary

In the history of Gelati Monastery, the governance and management policy in the period under research (1811-1923) is divided into several stages: **1811-1820**, when the centuries-old rule based on the Monastery's typicon still continues; **1821-1917** the period of the exarchate, when the Monastery was under staff rule and **1917-1923** - from the restoration of the autocephaly of the Georgian Church to the abolition of the Monastery.

In the article, all three periods of the governance and management of the Monastery are studied mainly based on archival documents. In 1811-1820, the general governance of the Monastery was run by the Metropolitan, the leader of the Gelati Diocese. At that time, the Monastery did not have an independent leader. Individual churches had leaders such as Cathedral Church of the Blessed Virgin Mary and the eukterions (chantries) of Cathedral Church of the Blessed Virgin Mary; at the second and third stages, the general management of the Monastery was handled by the leader. In addition, until the 80s of the 19th century, individual churches and eukterions (chantries) traditionally had their own leaders. An economist helped the leader to deal with economic activities. Besides, each member of the Monastery had a specific function. During the research period, the composition of the Monastery community was regulated three times - in 1821, in 1861 and in 1882.

The study of the the governance and management policy of Gelati Monastery and the activities of the members of its community clearly show that in 1811-1923, despite the severity of the era and the new rule of governance, the high Christian and national self-awareness of the members of the congregation and community was mainly preserved in the Monastery.

მერაბ ურუშაძე

# მუსიკის ზეგავლენა ადამიანის ფსიქიკაზე

ბგერის, ბგერათა შეთანხმების, მუსიკისა და სიტყვის აკუსტიკისადმი ინტერესი უძველესი დროიდან იღებს სათავეს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე მუსიკა. ის, რომ მუსიკას შეუძლია მრავალი დაავადებისაგან განკურნოს ადამიანი, იცოდნენ ძველ საქართველოში („მზე შინა და მზე გარეთა“, „ბატონები“, შელოცვები და სხვ.), ეგვიპტეში, საბერძნეთში, ჩინეთსა და ინდოეთში.

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში გუნდის სიმღერით შველოდნენ უძილობას; ძველ საბერძნეთში საყვირის ხმით მკურნალობდნენ რადიკულიტსა და ნერვულ აშლილობას.

უდიდესი ფილოსოფოსი და მოაზროვნე პითაგორა (ძვ. წ. აღ. IV ს.), რომელმაც შექმნა კოსმოსის აგებულების მუსიკალურ-რიცხობრივი თეორია, განსაზღვრავდა მუსიკას, როგორც წინააღმდეგობრივობის საუკეთესო ერთიანობას (ერთს მრავალში), აკორდს დისონანსში.

მუსიკა არა მხოლოდ კოორდინაციას უწევს რიტმსა და მოდულაციას, არამედ წესრიგს ამყარებს მთელ სისტემაში.

პითაგორამ აღმოაჩინა, რომ მუსიკალური ნოტის სიმაღლე იცვლება, თუ სიმის სიგრძე ნახევრად შემოკლდება. ეს ქმნის ოქტავას, რომელიც იმავე თვისების ბგერას

გამოსცემს, როგორც შეუმოკლებელი სიმი, მაგრამ ის ორმაგი სიხშირით ვიბრირებს. პითაგორა წარმატებით იყენებდა მის მიერვე შექმნილ მელოდიებს „სულიერ ავადმყოფთა“ სამკურნალოდ. დღესაც მუსიკის თერაპიის ეფექტურობა განპირობებულია არა მხოლოდ ადამიანზე ემოციური ზემოქმედებით, არამედ, როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევები ადასტურებენ, მუსიკალური ბგერების ბიორეზონანსული შეხამებით ცალკეულ ორგანოთა ვიბრაციასთან. ასე მაგალითად, კუჭ-ნაწლავის ტრაქტს აქვს რეზონანსული სიხშირე ნოტა „ფა“-სთან, რომლის ზედა სიხშირე ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებების გამოდევნას, ნოტა „დო“ წარმოადგენს ადამიანის დამაკავშირებელ რგოლს კოსმოსთან – ხელს უწყობს ფსორიაზის განკურნებას; ხოლო ნოტების: „სი“, „სოლ“ და „დო“-ს შეხამება ონკოლოგიურ დაავადებებს ამსუბუქებს.

თანამედროვე მეცნიერთა და ექიმთა დაკვირვებით, მუსიკალური ბგერების ვიბრაცია ნერვული სისტემის ვეგეტატურ (სისხლძარღვთა) მექანიზმს ააქტიურებს, იწვევს განსაკუთრებულ ვიბრაციულ პასუხებს ავადმყოფის ქვეცნობიერებაში; წამოიქმნება რეაქციები, რომლებიც ხელს უწყობენ პაციენტთა უფრო სწრაფ გამოჯანმრთელებას. უპირველეს ყოვლისა, მუსიკის თერაპია დიდ წარმატებებს აღწევს სხვადასხვა ტიპის ფსიქიკური აშლილობის დროს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბგერის ინტენსივობასაც. კერძოდ, დაბალი და საშუალო სიხშირეები გამოიყენება გულისა და ფილტვების, ხოლო უფრო მაღალი – შინაგანი ორგანოების სამკურნალოდ.

როგორც ვხედავთ, მუსიკა, მუსიკალურ ბგერათა სიხშირეები კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ ადამიანის სხეულსა და სულზე, მაგრამ განა ყოველ სიხშირეს ძალუძს ამის მიღწევა?

დადგენილია, რომ ძველი ბერძნები და ეგვიპტელები მხოლოდ 432 ჰერცის (Hz) სიხშირეს იყენებდნენ, რადგან ის არის ბუნების მათემატიკური არსის სუფთა ტონი.

ჩვენამდე მოღწეული ეგვიპტური არქაული ინსტრუმენტები ძირითადად ამ ტონზე იყო აწყობილი. ასევე იყო უძველეს საბერძნეთშიც (პლატონი, ჰიპოკრატე, არისტოტელე, პითაგორა). არქაულ ბერძნულ მისტერიებში მუსიკის, სიკვდილისა და აღორძინების ღმერთი – ორფეოსის ინსტრუმენტი სამყაროს ბუნებრივ სიხშირეზე, ანუ 432 Hz-ზე, იყო აწყობილი. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან უძველესმა ცივილიზაციებმა უფრო მეტი იცოდნენ **სამყაროს ერთიანობის** შესახებ, ვიდრე თანამედროვეებმა იციან.

432 ჰერცს აქვს სრულყოფილი ჰარმონიული ბალანსი. ეს ერთადერთი სიხშირეა, რომელიც იწვევს პითაგორასეულ მუსიკალურ სპირალს და თავისთავში შეიცავს საყოველ-თაოდ აღიარებულ, მაგრამ აქამდე ამოუცნობ **პლატონის კოდს.**

ამერიკელი მათემატიკოსი და ისტორიკოსი ჯეიმს კენედი (მანჩესტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) აცხადებს, რომ მან შეძლო გაეტეხა კოდი, რომელიც პლატონის ნაწარმოებებშია ჩადებული. მეცნიერი ამტკიცებს, რომ პლატონი იზიარებდა რა პითაგორელთა შეხედულებას სფეროთა მუსიკის, ჩვენი ყურისათვის მიუწვდომელი სამყაროს მუსიკალური ჰარმონიის შესახებ, თავის ნაწარმოებებს მუსიკალური ჰარმონიის კანონების მიხედვით აგებდა.

პლატონის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ნაწარმოები „სახელმწიფო“ თორმეტი ნაწილისაგან შედგება, მსგავსად მუსიკალური ქრომატული გამისა, რომლის შესახებ ძველმა ბერძნებმა კარგად იცოდნენ. ამასთან, წინადადებათა თითოეულ შესაყარზე ისეთი ფრაზა მოდის, რომელიც ასე თუ ისე ეხება მუსიკას ან მუსიკალურ ბგერას.

განავითარეს რა პითაგორას მოძღვრება „სფეროთა მუსიკის“ შესახებ, თანამედროვე ასტროლოგებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს ზოდიაქოს ნიშნებსა და სანოტო ბგერათა მწკრივს შორის:

1. ვერძი – ნოტა „დო“ („დო მაჟორის“ ტონალობა);
2. კურო – „დო დიეზი“ („რე ბემოლი“);

3. ტყუპები – ნოტა „რე“ („რე მაჟორის“ ტონალობა);
4. კირჩხიბი – „რე დიეზი“ (იგივე „მი ბემოლი“);
5. ლომი – ნოტა „მი“ („მი მაჟორის“ ტონალობა);
6. ქალწული – ნოტა „ფა“ („ფა მაჟორის“ ტონალობა);
7. სასწორი – „ფა დიეზი“ (იგივე „სოლ ბემოლი“);
8. ღრიანკალი – „სოლ“ („სოლ მაჟორის“ ტონალობა);
9. მშვილდოსანი – „სოლ დიეზი“ (იგივე „ლა ბემოლი“);
10. თხის რქა – ნოტა „ლა“ („ლა მაჟორის“ ტონალობა);
11. მერწყული – „ლა დიეზი“ (იგივე „სი ბემოლი“);
12. თევზები – ნოტა „სი“ (ტონალობა „სი მაჟორი“).

მუსიკა იქმნება ბგერათა კომბინაციებით, მაგრამ რას წარმოადგენს თვით ბგერა? ეს არის სიხშირეებისა და ვიბრაციების შედეგი.

როცა ბგერითი ტალღები მოძრაობენ ისეთ ფიზიკურ გამტარებში, როგორიცაა ჰაერი, წყალი, ქვიშა და სხვ., ტალღების სიხშირეებს უშუალო შეხება აქვთ სტრუქტურათა ფორმირებასთან. ვიბრაციასა და რხევებს გასაოცარი მაორგანიზებელი ძალა აქვთ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ **სიხშირეებითა და ვიბრაციებით იქმნება არა მხოლოდ ბგერები, არამედ საერთოდ ნებისმიერი ნივთიერება და, მაშასადამე, მთელი მატერიალური სამყარო სიცოცხლის ჩათვლით**.

სამყაროს მოდელთან მიმართებით 432 ჰერცი მეცნიერებს მათემატიკურ მუდმივად მიაჩნიათ. 432 ჰერცზე ინსტრუმენტის აწყობა ვიბრირებს სამყაროს შუა ხაზთან, სინათლესთან, დროსთან, სივრცესთან, ნივთიერებასთან, მიზიდულობასთან, მაგნიტიზმთან და ბიოგენეტიკურ კოდთან.

როდესაც ჩვენი ატომები და „დნმ“-ი იწყებენ ჰარმონიულად რეზონირებას ბუნების სპირალურ მოდელთან, ბუნებასთან ჩვენი კავშირის შეგრძნება იზრდება.

რიცხვი 432 ისახება მზის, მთვარისა და დედამიწის თანაფარდობაში, ისევე როგორც დღე-ღამის წონასწორობაში.

მზის სპექტრის ყველა სიხშირე ერთმანეთს ოქტავებით უკავშირდება, დაწყებული გამა სხივებით –

დამთავრებული ნაკლებ ჰარმონიულით. ეს ფერები და ნოტები, აგრეთვე, დაკავშირებულია ადამიანის ჩაკრებსა და სხვა მნიშვნელოვან ენერგოცენტრებთან. თუ ჩვენი ჩაკრა დაკავშირებულია მზის სპექტრის შვიდ სხივთან, მაშინ ის ნოტები და სიხშირეები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, იგივე იქნება, რაც 432 ჰერცი.

**432 ჰერცი კოსმოსური კლავიატურის წყობაა.**

დადგენილია, რომ 432 Hz-ზე აწყობილი მუსიკა არ არის ლოკალური. იგი დიდ სივრცეზე ვრცელდება. 432 ჰერცი მუსიკის ბგერებს აძლევს მეტ ჰარმონიულობას, სიმშვიდეს, აღძრავს ბედნიერების გრძნობას და სიღრმისეულ აღქმას. სწორედ ამ სიხშირეზე აწყობდა თავის შედევრებს საქვეყნოდ ცნობილი ანტონიო სტრადივარიუსი.

მაშ, რატომ მოხდა, რომ დღეს სიხშირეების მსოფლიო სტანდარტად დადგენილია სამყაროსა და მასთან ერთად ადამიანისათვის სრულიად არაბუნებრივი, მიუღებელი 440 ჰერცი? რაში მდგომარეობს მისი ადამიანზე უარყოფითი ზემოქმედების არსი?

ამ მიზეზთა კვლევას როტშილდ-როკფელერთა მიერ მსოფლიოში გატარებულ ანტიჰუმანურ საქმიანობასთან მივყავართ.

არაფერს ქვეყანაზე არ შეუძლია ისე ღრმად შეეხოს ჩვენს სულიერ სამყაროს, როგორც ეს ხელეწიფება მუსიკას. სწორედ ამაში ძევს ჩვენი ემოციურობის არსი. ამიტომ, ვინც აკონტროლებს მუსიკით (ბგერითი სიხრირეებით) აღძრულ ემოციებსა და ფიქრებს, რეალურად მოსახლეობის 99%-ს აკონტროლებს. სწორედ მსოფლიოზე კონტროლის მოსურნეებმა, მათ შორის როკფელერის ფონდმა, 440 ჰერცის სტანდარტი ჯერ აშშ-ში მიიღო 1940 წელს, ხოლო 1953 წელს მსოფლიო სტანდარტად აქცია.

მსოფლიო ისტორიის მანძილზე არსებობენ მდიდარი და ძალაუფლების მქონე ადამიანები, რომლებიც აჩაღებენ ომებს საკუთარი სარგებლისა და ხალხებზე კონტროლის მიზნით. 1770 წელს როტშილდმა ჩამოაყალიბა „ილუმინატების“ ორგანიზაციის შექმნის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა, მისი ოჯახის ბანკის ფილიალების

საფუძველზე, გლობალურ დომინირებას მთელ მსოფ-ლიოზე. ამისათვის, გარდა ფულადი სახსრებისა, საჭირო იყო ისეთი საშუალება, რომელიც შეძლებდა ხალხის დიდი მასების ნებელობის ნულამდე დაყვანას და ადვილად მართვას. უმთავრეს ობიექტად იქცა ხალხებზე მუსიკის ფაქტორის მომგებიანი კონტროლი. ისინი ცდილობდნენ მოეძებნათ ისეთი საშუალებები, რომლებიც ადამიანებში გამოიწვევდნენ ფსიქოპათოლოგიებს, ემოციურ დეპრესიასა და „მასობრივ ისტერიას“. დაარსდა როკფელერის ფონდი, რომელიც არ იშურებდა სახსრებს სამხედრო მუსიკის დასაფინანსებლად – ომის ისტერიის, ე.წ. „მომწამლავი მუსიკის“ ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით ტარდებოდა მეცნიერული კვლევები, სწავლობდნენ ადამიანებზე სიხშირეების ზეგავლენის პარამეტრებს და „ცხვრის ფარის“ სინდრომის დანერგვის შესაძლებლობებს, „მასობრივი ისტერიის“ გაღვივების გზებს. ამისათვის საჭირო იყო ბგერითი სიხშირეების ეფექტებისა და აუდიტორიაზე მათი ზემოქმედების საფუძვლიანი შესწავლა. ამ მიზნით როკფელერის ფონდმა მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობის მსოფლიო სტანდარტად 440 ჰერცი დაადგინა.

მათ შორსმიმავალი გეგმები ამოძრავებდათ: არ სურდათ ხალხს სცოდნოდა, რა არის ადამიანის ჭეშმარიტი მისია, მისი ამაღლებული ბუნება (სიკეთე, სიყვარული, ალტრუიზმი, რწმენა და სხვ.); ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ადამიანს სულ ეჩქარებოდეს, არ ჰქონდეს ფიქრისა და რეალობის გააზრების დრო, იფიქროს მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენაზე, ვერ მოიცალოს სულიერებისათვის და „ელიტამ“ თავისუფლად მართოს მთელი მსოფლიო. სწორედ 440 ჰერცი აღმოჩნდა მათთვის სასურველი სიხშირე, რომლის შემოღების მცდელობა ჯერ კიდევ 1884 წელს ჰქონდათ, მაგრამ ჯუზეპე ვერდის ძალისხმევით შენარჩუნებულ იქნა „ლა“ 432 ჰერცი, რომელსაც „ვერდისეულ წყობას“ უწოდებენ.

1910 წელს ამერიკელმა ჯ. დიგენმა, რომელიც ჰერმან ჰელმჰოლცის (გერმანელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ფიზიოლოგი და ფსიქოლოგი, 1821-1894 წწ.) მოწაფე

იყო და სამხედრო საზღვაო ძალებში მსახურობდა, დაარწმუნა ამერიკის მუსიკის ფედერაცია, რომ 440 ჰერცი მიეღოთ როგორც სტანდარტული უნივერსალური წყობა ორკესტრებისა და მუსიკალური ჯგუფებისათვის. ჯ. დიგენი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იყო ასტრონომიის, გეოლოგიისა და ქიმიის სფეროებში, სწავლობდა ფიზიკის სხვადასხვა დარგს, განსაკუთრებით ბგერისა და სინათლის თეორიებს, ამიტომ მისი აზრი ფუძემდებლური იყო მუსიკალური აკუსტიკის შესწავლის დროს.

ჯ. დიგენმა მეორე მსოფლიო ომის დროს 440 ჰერცზე დააპროექტა სამხედრო გადაძახილი პროპაგანდისტული ახალი ამბების გადასაცემად.

მეორე მსოფლიო ომამდე, 1936 წელს, ნაცისტური მოძრაობისა და მასების მართვის საიდუმლო ლიდერმა პაულ იოზეფ გებელსმა მუსიკის აწყობის სიხშირე 432 ჰერცი 440 ჰერცით შეცვალა, მაგრამ მანამდე, წლების მანძილზე, ნაცისტები აწარმოებდნენ მეცნიერულ კვლევებს ადამიანზე სიხშირეების ზემოქმედების მიზნით. მას შემდეგ, რაც ნაცისტებმა დაადგინეს, რომ 440 ჰერცი დიდი ძალით ზემოქმედებს ადამიანის ტვინზე და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დიდი მასების სამართავად, სწორედ ამ სიხშირეზე გაამახვილეს ყურადღება.

და მაინც, რაში მდგომარეობს 440 ჰერცის ადამიანზე უარყოფითი ზემოქმედების არსი?

თუ ადამიანს წაართმევ თავისი ორგანიზმისათვის დამახასიათებელ წყობას – 432 ჰერცს და ოდნავ მაინც აამაღლებ მის ბუნებრივ ტონს, მაშინ ტვინი რეგულარულად იწყებს გაღიზიანების მიღებას. გარდა ამისა, წარმოიშობა უამრავი ფსიქიკური გადახრა, ადამიანები აღარ ვითარ-დებიან, იკეტებიან საკუთარ თავში და ადვილად მართვადი ხდებიან.

440 ჰერცზე აწყობილი მუსიკა არაბუნებრივია. ის კონფლიქტშია ადამიანის ენერგეტიკულ ცენტრებთან: იწვევს აგრესიას, ფსიქოსოციალურ აჟიოტაჟს, დეპრესია; მას შეუძლია დააგროვოს არაჯანსაღი ეფექტები – გამოიწვიოს ანტისაზოგადოებრივი ქცევა, დაანგრიოს ადამიანის

ცნობიერება, ხოლო თუ ის მეტისმეტად ხმამაღალია და ხმაურში გადადის, შეუძლია ჭკუიდან შეშალოს ადამიანები და სიცოცხლეც კი მოუსპოს მათ.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ხმამაღალი ბგერები უსიამოვნოა ადამიანის ორგანიზმისათვის და მრავალი დაავადების მიზეზი ხდება: ისინი ცვლიან გულის რიტმს – იწვევენ ტახიკარდიას, ანადგურებენ სისხლძარღვებს – არიან ჰიპერტონიის მიზეზი, არღვევენ სუნთქვის რიტმს – ადამიანს აავადებენ ბრონქიალური ასთმით, კუჭის წყლულით, ენტეროკოლიტით, ალერგიით, დისპეპსიითა (კუჭის სიმჟავის არგამოყოფა) და მრავალი სხვა დაავადებით.

440 ჰერცზე ბაზირებულ მუსიკას (სიხშირეების კომბინაციას) არა მხოლოდ სხვა რამეზე გადააქვს ჩვენი ყურადღება, არამედ, ცნობიერების გვერდის ავლით, პირდაპირ იტვირთება ქვეცნობიერში, ხდება მუსიკაში ჩადებული ფარული ინფორმაციის ისეთი ტრანსფორ-მირება, რომ შესაძლებელი ხდება ადამიანების ადვილად მართვა.

ყოველივე ეს ერთ მიზანს ემსახურება: რაც უფრო მეტი ადამიანი განადგურდება დედამიწაზე, მით უფრო კმაყოფილი დარჩებიან თანამედროვე „ევგენიკის“ ფუძემდებლები „ილუმინატები“ („300 კომიტეტი“, „ბილ-დერბერგის კლუბი“, „თავის ქალა და ძვლები“ და სხვ.), მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები, რომლებიც მიზნად ისახავენ მსოფლიო მოსახლეობის დეპოპულაციასა და მის ერთ მილიარდამდე შემცირებას.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

https://meditativemind.org/healing-benefits-of-music-tuned-to-432-hz-music-of-nature/

https://ask.audio/articles/music-theory-432-hz-tuning-separating-fact-from-fiction

https://www.youtube.com/watch?v=PtLcOghpQJk

https://www.youtube.com/watch?v=1zw0uWCNsyw&t=75s

Merab Urushadze

**INFLUENCE OF MUSIC ON HUMAN PSYCHE**

Summary

The main goal of our research is to investigate the difference between 432 hertz and 440 hertz frequencies and how they affects the human mind, body and soul, connection to nature and perception of universe.

თეა ქობულაძე

# პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის" ავტორისეული ტექსტოლოგიური სწორებანი

მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის გაცნობას. ავტორის შემოქმედებითი პროცესი ჩვენთვის საინტერესოა არა მხოლოდ ნაწარმოებით, რომელსაც ის ქმნის, არამედ თვით შემოქმედებითი პროცესის შინაგანი რაობითაც. შემოქმედებითი ისტორია, შემოქმედებითი ლაბორატორია ერთ-ერთი საინტერესო და ძალზე საჭირო მხარეა ლიტერატურათმცოდნეობითი გამოკვლევებისათვის, რითაც შესაძლებლობა გვეძლევა, უფრო მეტი რამ გავიგოთ მწერალსა და მის შემოქმედებაზე.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მწერალთა შემოქმედებითი ლაბორატორიის საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი. ამ თემაზე სპეციალურად დაწერილი გამოკვლევების რაოდენობაც მცირეა. მწერლის შემოქმედების ტექსტოლოგიურ კვლევას ისიც ართულებს, რომ ზოგიერთი ნაწარმოების ავტოგრაფი ან სხვა ხელნაწერი შემონახული არ არის.

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება სპეციალურად ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, ნაკლებად არის ნაკვლევი.

პოლიკარპე კაკაბაძის დრამატული ნაწარმოებების წყარო სხვადასხვაგვარია: ფოლკლორული, ლიტერატურული, რეალური ცხოვრებიდან აღებული და სხვ. ყოველ

მათგანს მწერალი თავისებურად ამუშავებს და ამ პროცესში მჟღავნდება შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მისი მხატვრული აზროვნების პოტენცია.

პოლიკარპე კაკაბაძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნების საქმეს, ცდილობდა თავიდან აეცილებინა ტექსტში კორექტურული თუ სხვა სახის შეცდომები.

კლასიკოსის თხზულებათა აკადემიური თუ მეცნიერული გამოცემის დროს ტექსტოლოგი ძირითად ტექსტებად ჩვეულებრივ იღებს ავტორის უკანასკნელი ნების გამომხატველ ტექსტს. ასეთად ითვლება ხოლმე მწერლის სიცოცხლეში ბოლოს გამოცემული ტექსტი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება ძირითადი ტექსტის ჩასწორება პირველი ნაბეჭდი წყაროსა თუ ავტოგრაფის მიხედვით.

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებითი ლაბორატორიის გაცნობამ გვიჩვენა, რომ წერის დროს ასეთი ცვლილებების შეტანა ავტორისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა და მას ძირითადად ორი მიზეზი აქვს – მსოფლმხედველობრივი მრწამსი და ლიტერატურული ოსტატობა. ტექსტოლოგიური დამუშავების კვალი მკაფიოდ ეტყობა პიესების თითქმის ყველა ახალ გამოცემას. ამდაგვარი სწორებანი, როგორც პროფ. ა. ნიკოლეიშვილი წერს, გამიზნული იყო როგორც ნაწარმოების მხატვრული მხარის დასახვეწად, ისე იდეურ-მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობის მეტი განზოგადებულებითა და შთამბეჭდაობით გამოსაკვეთად (ნიკოლეიშვილი 1997: 23).

ერთი რამ ცხადზე ცხადია: ზოგჯერ დრამატურგის შემოქმედებითი პროცესი იმდენად ხანგრძლივი და მრავალფეროვანია, ნაწარმოები ერთბაშად ვერ იღებს ისეთ სახეს, რომელიც მწერალს სრულ კმაყოფილებას მიანიჭებდა.

პოლიკარპე კაკაბაძე შემოქმედებით ასპარეზზე გასული საუკუნის 10-იანი წლების მიწურულს გამოვიდა. ამ დროს დაიწერა მისი პირველი პიესები. ამ დროიდან მოყოლებული ბევრი საინტერესო გამოკვლევა შეიქმნა მის შემოქმედებასთან დაკავშირებით.

პოლიკარპე კაკაბაძის ღვაწლი ჩვენი დრამატურგიის განვითარებაში იმდენად გამორჩეული და მნიშვნელოვანია,

სადღეისოდ არავინ დავობს მის ამ დამსახურებაზე, თუმცა, სამწუხაროდ, სულ რამდენიმე ხნის წინათაც იყო მწერლის შემოქმედებითი მასშტაბურობის დაკნინების მცდელობა მისი თუნდაც აღიარებული პიესების მრავალფეროვან სიღრმეებსა და მძლავრად განფენილ მსოფლმხედველობრივ სივრცეებზე ცინიკურად მინიშნებით, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ფაქტი ბევრს არაფერს ცვლის, პირიქით, „ლოდი, რომელიც შეურაცხყვეს მაშენებელთა, იგი იქცა თავკიდეთა" (ლუკა 20,17: 191).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალისტური წყობის მესვეურები უპირისპირდებოდნენ ყველა იმ მწერალს, რომელიც იმდროინდელი ყოფის შესახებ კრიტიკულ მოსაზრებას გამოთქვამდა, საწინააღმდეგოს დაწერდა ან მოიმოქმედებდა. ამიტომ ზოგმა მწერალმა ისეთი გზა აირჩია, სადაც შეფარულად, ალეგორიულად იყო სათქმელი ნათქვამი და მახინჯი რეალობა მხილებული. ასეთ ნაწარმოებს ან არ უბეჭდავდნენ მწერალს, ან გადააკეთებინებდნენ და ამგვარად სახეცვლილს დაუბეჭდავდნენ. შესაბამისად, ამ ეპოქაში შექმნილ ნაწარმოებთა ტექსტოლოგიურ სწორებას ორი მთავარი მიზეზი ჰქონდა – ლიტერატურული სრულყოფა და მსოფლმხედველობრივი მრწამსი. „ყვარყვარე თუთაბერის" ტექსტის ვარიანტულობა სწორედ ამ უკანასკნელით იყო განპირობებული. იგი წიგნად პირველად 1936 წელს დაისტამბა. ამ გამოცემაში ყვარყვარეს ბოლო რეპლიკა (რითაც პიესა მთავრდება) ასე ჟღერს:

„ყველა უბედურებას შენით გადავეკიდე, გულთამზე, მარა, თუ ცოცხალი გადავრჩი, მაინც არა უშავს.

(თავისთვის) გული არ გაიტეხო, ყვარყვარე, დაიღუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩაძვრა, მე კიდევ ავცოცდები".

ბრწყინვალე ფინალია! რეალისტური, ფილოსოფიურად და ფსიქოლოგიურად გამართლებული... მოკლედ, ჩინებული საბოლოო აკორდია საუცხოო პიესისა! ასეთი დასასრული რეალისტურია, მაგრამ არა სოცრეალისტური (ბრეგაძე 2011: 45).

რას ჰქვია „მე კიდევ ავცოცდები", ასე შეიძლებოდა ეთქვა შექსპირის ან მოლიერის პერსონაჟს, საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ კი ყვარყვარეებს რაღა

მომავალი აქვთ! ვერსადაც ვეღარ აცოცდებიან! ამიერიდან ნიჭს, პატიოსნებას მიეცემა ასპარეზი!

დაახლოებით ასეთ რამეს გაიფიქრებდა ამ ფინალის წაკითხვისას სოციალისტური რეალიზმის თეორეტიკოსი. მერე ამ ფიქრს საქმესაც მოაყოლებდა. განუმარტავდა მწერალს: პიესის ასე დამთავრება ჩვენს თანამედროვეობას აღარ შეეფერება და ეს ადგილი გადააკეთეო. თუ შემოქმედი არ დაუჯერებდა და გაჯიუტდებოდა, ძალასაც აგრძნობინებდა, იმ ძალას, რომელიც აღმართსაც ხნავს... მართლაც, შემდგომ გამოცემებში პოლიკარპე კაკაბაძე ცვლის ფინალს, ცვლის სოცრეალიზმის მოთხოვნათა შესაბამისად აი ასე:

„ყველა უბედურებას შენით გადავეკიდე, გულთამზე! (თავისთვის) ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე თუთაბერო. ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება".

სინამდვილეში კი, ვინ მოთვლის, რამდენი მცირე თუ დიდი მასშტაბის ყვარყვარე გალაღებულა „ამათ ხელში"!

სად ნამდვილრეალისტური „მე კიდევ ავცოცდები" და სად ცრუპროპაგანდისტული „გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე"!

სამაგიეროდ, ასე შეცვლილი ფინალი უკვე ძალიან მოსწონდათ სოცრეალიზმის დამცველთ. აი, რას წერდა ამის გამო ერთ-ერთი მათგანი:

„ავანტიურისტი მედროვეები, გადიდკაცებული ნაცარქექიები, უანგარო მოღვაწეთა ქურქში გახვეული კარიერისტები, ბრძნად თავისგამსაღებელი სულელები და ნიღაბაფარებული გაიძვერები მარადცვლადი და განვითარებადი ცხოვრების აუცილებელი ბალასტია. მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში და ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის პირობებში, როცა კომუნისტური სიფხიზლე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ქმედითი იარაღით ებრძვის ძველსა და წარმავალს, არის პირობები ცრუბრძენთა, ცრუგმირთა, ცრუმოღვაწეთა, თვითმარქვიათა და კარიერისტთა დროული მხილების, მათი გადაჯიშებია და უვნებელყოფის (თუმცა, დროებით შენიღბვის საშუალება მათ ზოგჯერ აქაც ეძლევათ). ტყუილად კი არ ეუბნება თავისთავს ყვარყვარე „გათავდა შენი ჩალიჩიო!" (ციციშვილი 1962: 228).

ასეთი სიყალბე (ამგვარი მგზნებარებით გამოთქმულიც კი) ჭეშმარიტ შემოქმედს ვერ გააბრიყვებდა. პოლიკარპე კაკაბაძე, ცხოვრების ღრმად მცოდნე, ადამიანის ბუნების მესაიდუმლე, ამ მზაკვრულ სიცრუეს, რა თქმა უნდა, არ დაიჯერებდა. საბედნიეროდ, მან მოასწრო და აღადგინა ფინალის თავდაპირველი ვარიანტი: მწერლის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1971 წელს, გამოვიდა მისი თხზულებების ორტომეულის პირველი ტომი, რომელშიც „ყვარყვარე თუთაბერი" ისევე მთავრდება, როგორც 1936 წლის გამოცემაში.

ვთქვათ და პოლიკარპე კაკაბაძეს ვერ მოესწრო ამის გაკეთება სიცოცხლეში. ტექსტოლოგს ჰქონდა თუ არა უფლება, მაინც აღედგინა თავდაპირველი ვარიანტი? დიახ, იყო ამის შესაძლებლობა.

როგორც მკვლევარი ლევან ბრეგაძე აღნიშნავს, ავტორის „საბოლოო ნებას", ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოცემული ტექსტის საბოლოოდ მიჩნევის წესს, არ შეიძლება ბრმად მივდიოთ. „ტექსტოლოგიას საქმე აქვს „ავტორის ნების" ცნებასთან, მაგრამ ამ დროს იგულისხმება მწერლის შემოქმედებითი ნება-სურვილის გამოხატვა, რომელიც არ შეიძლება გამარტივებულად გავიგოთ – ბიოგრაფიული ან იურიდიული აზრით. ლიტერატურული ნაწარმოები მარტო ავტორის საკუთრება როდია – იგი ამავე დროს ეროვნული სიმდიდრეა. პასიურობა ავტორისა, რომელიც არ რეაგირებს, როცა ტექსტი გარეშე პირთა ზემოქმედებით იცვლება, არ შეიძლება ჩავთვალოთ შემოქმედებითი ნების გამოვლინებად. მწერლის ჭეშმარიტი შემოქმედებითი განზრახვის დადგენა შეადგენს სწორედ ტექსტოლოგიური კვლევის ამოცანას" (ბრეგაძე 2011: 37).

როგორც „ყვარყვარე თუთაბერის" ფინალის „თავგადასავალი" მოწმობს, ამ მხრივ დიდი მუშაობა აქვთ ჩასატარებელი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართ. მწვავედ დააყენა ეს საკითხი სოსო სიგუამ თავის წერილში, რომელსაც პოლემიკაც მოჰყვა. კრიტიკოსის აზრით, თვით შემოქმედშივე არსებული ცენზურის მიერ შერყვნილი ტექსტების აღდგენა საშური საქმეა (სიგუა 2013: 117).

პოლიკარპე კაკაბაძის პიესებისადმი ტექსტოლოგიურ დაინტერესებას ისიც აძლიერებს, რომ მისი დრამატული ქმნილებებიქართულითეატრისსცენაზეარაერთხელდაიდგა და რეჟისორებმა მათ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს. ამან კი მისი პიესების ვარიანტულობა გამოიწვია. როდესაც 1928 წელს კაკაბაძემ „ყვარყვარე" დაწერა, მაშინვე კოტე მარჯანიშვილისათვის მიუტანია. ყველა ღონე იხმარა მარჯანიშვილმა, რომ პიესა ასეთი სახით დაედგა. იგი ამის შემდეგ არაერთხელ დაიდგა ქართული თეატრის სცენაზე და ყოველ მათგანში სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციით „გაცოცხლდა" ყვარყვარე.

ამრიგად, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის" ტექსტის ვარიანტულობა მრავალი ფაქტორით არის გამოწვეული. ავტორმა რამდენჯერმე შეცვალა პიესაში ბევრი რამ, რაც ზოგჯერ სოცრეალიზმის გავლენით ხდებოდა, ზოგჯერ კი ტექსტის ვარიანტებს ფოლკლორული, ლიტერატურული, რეალური ცხოვრებიდან აღებული ფაქტები განსაზღვრავდა.

## გამოყენებული ლიტერატურა

ბენაშვილი 1972 – ბენაშვილი დ., ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, 1972.

ბრეგაძე 2011 – ბრეგაძე ლ., მარგინალიები, თბილისი, 2011.

კაკაბაძე 1971 – კაკაბაძე გ., დრამატული პოეზია ორ ტომად. ტ. I-II, თბილისი, 1971.

ნიკოლეიშვილი 1997 – ნიკოლეიშვილი ა., ქართველი მწერლები, პოლიკარპე კაკაბაძე – დრამატურგი, ჟურნ. განთიადი, ქუთაისი, 1997.

რატიანი – რატიანი ი., ქართული ლიტერატურის ტექსტის კვლევის თანამედროვე მეთოდების კონტექსტში. ჟურნ. „სჯანი", 2006, №7.

სიგუა 2013 – სიგუა ს., კულტუროლოგიის საფუძვლები, ნაწილი მესამე, თბილისი, 2013.

ციციშვილი 1962 – ციციშვილი გ., ქართული საბჭოთა დრამატურგია, ნაწ. 1. თბილისი, 1962.

ლუკა 2015 – ახალი აღთქმა. სახარება ლუკასი, თბილისი, 2015.

Tea Kobuladze

# TEXTOLOGICAL CORRECTIONS BY POLIKARPE KAKABADZE "KVARKVARE TUTABERI"

Summary

The issues of Polikarpe Kakabadze's creative laboratory are less studied in Georgian literary studies. The sources of his dramatic works are various: Folkloric, literary, taken from real life and others. Each of them is processed by the writer in his own way, and in this process his creative individuality and the potential of his artistic thinking are revealed.

The socialist system opposes all those writers who would express a critical opinion about the existence of that time, write or act against it. Therefore, some writers chose the way, where what had to be said was hidden, allegorical and the ugly reality was exposed. The variant of the text of "Kvarkvare Tutaberi" was due to the latter. It was printed as a book for the first time in 1936. In subsequent editions, Polikarpe Kakabadze changed the finale in accordance with the demands of social realism. However, at the end, the text ends again, as in the 1936 edition.

Thus, the variation of the text of "Kvarkvere Tutaberi", apart from the fact that it was caused by the conjunctural regime of the time, it was also due to the abundance of facts taken from folklore, literature and real life.

დავით შავიანიძე
ლუიზა ხაჭაპურიძე

# საფლავის მოწყობის ტრადიციები აჭარასა და ტაო-კლარჯეთში (უახლესი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

ოსმალეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფოს ტერიტორიების დაკავების შემდეგ (1499), შეიცვალა ქვეყნის და განსაკუთრებით პოლიტიკური ზემო ქართლის კულტურულ-რელიგიური ცხოვრება (ადმინისტრაციული მოწყობისა და მიწათმფლობელობის წესები, რელიგიური მიდგომა, ინდივიდთა სამოქალაქო დამოუკიდებლობის ტრადიციული სინამდვილე...).

აღნიშნული პრობლემის ერთი ნაწილია „ჩვენებურების", სხვა გამოსავლის არდარჩენის გამო გამუსულმანებულ აჭარელთა და ტაო-იმერხევის ავტოქთონ ქართველთა მიცვალებულის დასაფლავების ადგილის შერჩევისა და საფლავის მოწყობის წესები.

ქართველთაგან მიცვალებულის საკუთარ ეზოში დაკრძალვასთან დაკავშირებით არსებობს სადავო, თუმცა ანგარიშგასაწევი მოსაზრებები:

1. პიროვნების გარდაცვალებამდე გაცხადებული სურვილი, რომ დაესაფლავებინათ საკუთარ ეზოში;

2. ეკონომიკური ხელშეწეულობა (საერთო სასაფ-ლაოსთვის მიწის არქონა, საკუთარი მიცვალებულის ტრადიციული წესის მიხედვით მოვლის აკრძალვა);

3. მძიმე ზამთრის პირობები;

4. შეიძლებოდა შეურაცხეყოთ საფლავი, ან მოეპარათ მიცვალებული ადამიანთა მეტად დამორჩილების, „გაბეჩების, დაბლაყვების“ მიზნით.

5. თურქული პოლიტიკის გავლენით დამდგარი შედეგი – განათლების ნაკლებობა (აღარ ცოდნა, ბევრისთვის საკუთარი წესის გახსენება-შესრულების სურვილის აღარ ქონა).

ეთნოგრაფიული მასალა[1]:

„მძიმე ზამთრის პირობებში ვერ ახერხებდნენ აწევას და ამიტომ ასაფლავედნენ ჩვენთან, ოლადაურში, ეზოში“ (მთხრობელი: გ. მაკარაძე, სოფ. ოლადაური, 2022).

„თათრის რელიგიის გავლენა დიდი იყო და ვემორჩილებოდით. მტერმა დიგინახოს შენ, რომ შენ წესს უსრულებ მიცვალებულს, გაგამწარებს. შეიძლება მოგპაროს მკვტარი. საკუთარ ეზოში დაასაფლავებდი და უვლიდი უფრო. სასაფლაო გაუნადგურებიათ თქმით, „სოფელს სჭირდებაო“ და დაკარგვიან საფლავები. ეს ყველაფერი შენი მეტად დამორჩილების, გაბეჩების მიზანსაც ემსახურებოდა“ (მთხრობელი: თ. ცეცხლაძე, სოფ. სკვანა, 2022).

ჰქონდათ ცოდნა იმის, რომ „სასაფლაოზე დასაფლავება ნიშნავდა შენდობის გაგზავნას, ცხოვრების წესის გათვალისწინებას, სახელის და გვარის დარჩენას“ (მთხრობელი: რესულ ექინი, სოფ. ქოქლიეთი, 2022).

„ადრე ამფერ იყო, შენთვის მიწა მიიკელი და საერთო-სასაფლაო გქონდეს, ვერ იქნებოდა. მიწა არ ქონდენ, ხსოვნის სხვა სახსარიც. მერე თანდათან სიბნელიდან გამოვედით, გაცნობიერდა ადამიანი, მიხთა და გაჩნდა კიდევაც სასოფლო სასაფლაოები სოფლებში, სადაც ხშირი იყო მიცვალებულის ეზოში დასაფლავების შემთხვევები“ (მთხრობელი: დ. თურაძე, სოფ. მთის უბანი, 2022).

**განათლება და ეკონომიკური შესაძლებლობები**

XIX საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მართალია, არსაუბრობენ მიცვალებულის დასასაფლავებელი ადგილის შესახებ, მაგრამ აღნიშნავენ აჭარელთა ამ რიგის პრობლემებზე, მაგალითად, ეკონომიკური სიდუხჭირის

[1] წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალის შინაარსი დაცულია. ენობრივი მხარე კი, განსაკუთრებით ტაო-იმერხევის მასალის, არ არის დაცული

მოსპობის აუცილებლობაზე, წიგნიერების გაზრდაზე, რომ შენარჩუნებულიყო აჭარაში ადგილობრივთაგან ქართველობისადმი მიკუთვნებულობა (ჭიჭინაძე 1913).

„გაუნათლებლობა... ვინც წერა-კითხვა არ იცის. მე -18 საუკუნეში გაუნათლებლობა გამოვლინდა, როგორც სოციალური პრობლემა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემზღუდავი სოციალური პრობლემა“ (https://ka.warb letoncouncil.org/analfabetismo-79).

ეთნოგრაფიული მასალა:

„გაუნათლებლობა უცოდინარობაა. არაბულის ცოდნა იმ დონეზე, რომ ჩვენი დასაბეჩებელი, ყველასთვის მიუღებელი, ბოლო-ბოლო გასაგდები (/ბლაყვი) რომ გავმხდარიყავით, ის ადგილები გვეკითხა ყურანიდან. აღარ უნდა გვცოდნოდა საკუთარი არც ენა, არც წარსული, არც ტრადიციული წესი. უნდა ვყოფილიყავით ჩვენ თავში ჩაკეტილი. არ უნდა გვქონოდა წარმოდგენა ადამიანურ უფლებაზე“ (მთხრობელი: ნიაზ ექინი, სოფ. ქოქლიეთი, 2022).

„საშუალება არა მხოლოდ ეკონომიურია, ცოდნაცაა. ცოდნა გაქვს, შეგიძლია“ (მთხრობელი: მუამერ იხტიარ ოღლი/მუხო დევაძე, სოფ. ჭილათი, 2022).

დასაფლავების ადგილისა და საფლავის მოწყობის საკითხის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები:

ხუთი რელიგიური მოვალეობის – „ხუთი ბურჯის“ შესრულების სავალდებულოობა (პირველია რწმენის აღიარება [შაჰადა]), როცა ისლამი ყოველდღიურობაა, შენი ყოფის ნაწილია;

დროთა განმავლობაში საქართველოს სხვა ქრისტიანულ მხარეებსა და ეკლესიასთან სრულად შეზღუდული კავშირები; უცხოთა რელიგიურ-პოლიტიკური და სოციალური მიდგომები; ოსმალეთში ფეოდალური მიწათმფლობელობის ყველაზე გავრცელებული (მემკვიდრეობითი) ფორმების – „თიმარების“ და „ზეამეთების“ პირობებში სამეურნეო მიწის ნაკლებობა, უქონლობა; **ეკონომიკური შესაძლებლობები, ინდივი-დუალური მიდგომები;** აჭარის სხვადასხვა სოფელში მიცვალებულის საკუთარი სახლის ეზოში დასაფლავების შემთხვევები არ

მიგვაჩნია ამ კუთხის მკვიდრთა ყოფითი ცხოვრების წესის გამოვლინებად.

**საფლავის ქვაზე ფოტოს დახატვისა და ეპიტაფიის დაწერის საკითხისათვის.**

ირკვევა, რომ აჭარასა და ტაო-იმერხევში რელიგიური გავლენის გამო საფლავის ქვაზე ვერ დაახატავდნენ, ასევე, ვერ დააწერდნენ ეპიტაფიას. ხშირი იყო (და არა მასიური) შემთხვევები აჭარაში, როცა სახელსა და გვარსაც არ აწერდნენ.

თავისდაუნებურად ხდებოდა აწმყოსთვის წინაპრის კვალზე სიარულის ვერშეხსენება, წარსულისთვის შენდობის ვერთქმა.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ისლამის დიდი გავლენის ქვეშ ვიყავით და სურათი მის ტრადიციებში არ გადიოდა“ (მთხრობელი: ა. დუმბაძე, სოფ. ბაკიბაკო, 2022).

„სახელი, გვარი, გარდაცვალება და დაბადება იწერება. უბრალოდ სურათი არ შეიძლება მუსულმანური რელიგიით“ (მთხრობელი: რეჯეფ ქეჩეჯი, სოფ. ხევაი, 2022).

„ცოდვად მიიჩნევდნენ ფოტოს ქვაზე დახატვას, სახელისა და გვარის გარდა რაიმეს დაწერას, მაგრამ ახლა ყველა უკვე ცდილობს ქართული წესის დაბრუნებას. სურათებს და წარწერებსაც უკეთებენ“ (მთხრობელი: გ.მაკარაძე, სოფ. დარჩიძეები, 2018).

„სურათი ახლაც არაა ძალიან გავრცელებული. აწერენ კი სახელსა და გვარს და მამის სახელს. დაახლოებით 60-იან წლებში მოინდომეს სურათი ქვაზე. მეჩეთმა მაშინაც გააფრთხილა, რომ ადამიანის სახის შექმნა მარტო ღმერთს შეუძლია და არა ადამიანს. ქართულიც ბევრმა აღარ იცოდა, იმიტომაც ვერც აწერდნენ. ალბათ უშლიდნენ ქართულად დაწერასაც, რომ დავიწყებას მიცემოდა ვინ ვართ. დააწერ რაიმეს და ნაცნობს შეახსენებს, უცნობსაც, მომავალს ასწავლის ცხოვრებას“ (მთხრობელი: ე. აბაშიძე, სოფ. ვერნები, 2022).



ოსმან ქესკუნის ძე ცეცხლაძის (1912-1995) საფლავი. სოფ. სკვანა.

საფლავის ტიპი და „თავ-ფეხ ნიშნიანი“ ქვები მარეთის ხეობიდან

იმერხევი

ტაო

ბარის აჭარაში, ბათუმსა და ქობულეთში, საფლავის ქვის წარწერები ადასტურებენ, რომ იქ, მთიანი აჭარისგან განსხვავებით, ყურანის მხოლოდ გარკვეული ადგილების გაზეპირებისა და საფლავის ქვაზე სურათის დახატვის და

ეპიტაფიის დაწერის პრობლემა XX საუკუნის დასაწყისშივე აღარ იდგა.

უახლესი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, აღნიშნული „ბეჩობის“ (მათ შორის იმის დაწერაც, თუ ვისგანაა მიძღვნილი საფლავის ქვა) მოწესრიგება მთიან აჭარაში დაიწყო XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან, ქობულეთის რაიონსა და ბათუმში კი უფრო ადრე. გვხვდება გარდაცვლილის სურათები ღვინით სავსე ფიალით ხელში. ტაოსა და იმერხევში დღემდე არ აწერენ საფლავის ქვებზე არაფერს, გარდა სახელისა და გვარისა.

ეთნოგრაფიული მასალა:

„შუახევში ნახავდით საფლავის ქვაზე სურათსაც და ეპიტაფიასაც და გეტყვით, რატომ, მისვლა- მოსვლა ხშირია და სადაც ხშირია, იქ უფრო იოლად მოიკიდებს ფეხს ის, რაც შენ ერშია გავრცელებული“ (მთხრობელი: ჯ. ქამაშიძე, სოფ. თხილვანა, 2022 წ.).

მარეთის ხეობა, სოფ. ოლადაური

სოფ. აჭყვისთავი[2]

საფლავის ქვაზე ფოტოს დახატვისა და ეპიტაფიების დაწერის წესი მთიანი აჭარის მკვიდრთაგან, ასევე, „შეძლება-განხორციელების“, განათლების ნაკლებობის (უცოდინრობის), ცოდნის სურვილის არქონით დამდგარი პრობლემის გამოსწორებად მიგვაჩნია.

ეთნოგრაფიული მასალა:

„საფლავის ქვაზე სურათის არდახატვისა და ეპიტაფიის არდაწერის „ბეჩობის“ მოწესრიგება მთიან აჭარაში XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო“ (მთხრობელი: გ. ხალვაში, სოფ. ხიხაძირი, 2022).

„ქვაზე წაწერილი სახელი და გვარის გარდა ლექსი, სურვილი შეხსენებაა, სწავლებაა, რომ დიდი წინაპრის კვალზე იარო, შენდობა უთხრა წასულს და გაიხსენო“ (მთხრობელი: გ. გაბაიძე, სოფ. კალოთა, 2022).

[2] ქარცივაძის საფლავის ქვაზე წარწერა რეზო თაბუკაშვილის სონეტიდანაა. მსგავსი წესი საქართველოს ყველა მხარეში და პანთეონში გვხვდება. საფლავის ქვები საინტერესოა დანარჩენ საქართველოში გავრცელებული წესის მსგავსებითა და ეპიტაფია-მიძღვნებით. იმითაც, თუ რამდენად შესუსტებულია რელიგიური გავლენა ქართველთა რიტუალურ, „ღმერთთან საზიარებელ“ სასმელთან დაკავშირებითაც.

ხიხაძირის თემში გვხვდება ადგილობრივთა მიერ დადგმული ძეგლი აჭარელი გმირის მუსტაფა გაბაიძისა, რომელიც ქვეყნის მტრისაგან გათავისუფლებისთვის იბრძოდა. აღნიშნულ ქვასთან დაკავშირებით ეთნოგრაფიული მასალა შეგვახსენებს საქართველოში გავრცელებულ ტრადიციას, რომ ქვაზე წარწერა განვლილის შესახებ სწავლების შინაარსისაა.

საფლავის ქვაზე ეპიტაფიის დაწერის, ფოტოს დახატვის შესახებ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის კვლევის შედეგები:

- რელიგიური გავლენის გამო საფლავის ქვაზე არ შეიძლებოდა ფოტოს დახატვა[3].
- საფლავები ერთი ტიპისა უნდა ყოფილიყო, განსხვავებულობა არ შეიძლებოდა, „მიცვალებული იტირებს, ჩემი ცუდია და მისი კარგიო“ (მსგავსი მასალა

[3] პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში ფოტოები ათა თურქის შემდეგაა თურქეთში და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში.

მოვიძიეთ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. დერცელში მცხოვრები აჭარლებიაგანაც).

• დღეს ეპიტაფიათა მეტი წილი ლექსის ტიპისაა.

შდრ.: სოფელ თხილვანის მკვიდრმა ილია აბულაძემ გვაჩვენა საკუთარი ბებიის „პასპორტი“ და ბაბუა-ბებიას ფოტო. ფოტო, მთხრობელის თქმით, გადაღებული იყო ჩუმად, საქართველოს სხვა კუთხეში და „ინახავდნენ ისე, რომ არავინ იცოდა“. მთხრობელს წინაპრის ფოტო შემთხვევით უნახავს, მათი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ.

საფლავის ქვებზე არსებული თურქული საკუთარი სახელები კვლევის სანდო წყაროა, ქართულ-თურქული კულტურების შერევის მაგალითია.

აჭარაში გავრცელებულია თურქული წარმომავლობის საკუთარი სახელები: სეფიე, მებანი, აბდული, სოსლანი, დურსუნი, ემინი, რიზა, ზულფი, ახმედი, იეთარი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

თურქებისა და რუსების მიერ დაპყრობილ აჭარაში და თურქების მიერ დასაკუთრებულ ტაოსა და იმერხევში პიროვნების სამოქალაქო დამოუკიდებლობის მოსპობა, რადიკალური, იდეოლოგიური, კონფესიური და კულტურული ცვლილებები გულისხმობდა ქართველთაგან მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციული წესების, მათ შორის საფლავის მოწყობის წესების, უარყოფას.

მიცვალებულის დაკრძალვის ადგილის, საფლავის მოწყობის ჩვენ მიერ აღწერილი სინამდვილეც, რელიგიურ მოტივის გარდა, არსებითად განსაზღვრა საზოგადოებრივ-კულტურულმა განვითარებულობამ.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები


გიორგაძე 1987 – გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბილისი, 1987.

ნადირაძე 2001 – ნადირაძე ე., საქართველოს მემორიალური კულტურა. თბილისი, 2001.

ჭიჭინაძე – ჭიჭინაძე ზ., საქართველოს ცხოვრება, წიგნი II. თბილისი, 1913.

ეთნოგრაფიული მასალა – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2015-2022 წლებში აჭარაში, იმერხევსა და ტაოში ორგანიზებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების პერიოდში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა.

https://ka.warb letoncouncil.org/analfabetismo-79

https://socialjustice.org.ge/ka/products/istoriuli-konteksti-acharis-mravali-dabruneba



David Shavianidze,
Luiza Khachapuridze


## TRADITIONS OF GRAVE ARRANGEMENT IN ADJARA AND TAO-KLARJETI GEORGIA (ACCORDING TO THE LATEST ETHNOGRAPHIC MATERIALS)


Summary

The article discusses the results of the complex-ethnohistorical rSummaryesearch of the latest materials collected by us, about the burial place and the rules for the arrangement of graves of the native Georgians of the villages of Adjara and Tao-Imerkhevi. After the Ottoman Empire occupied the territories of the Georgian Kingdom

(1499), the cultural-religious tradition of Kartli, the rules of administrative arrangement and land ownership changed; The civil independence of individuals was lost... All of the above had an impact on the rules of burial and arrangement of graves.

Even after the adoption of Islam, Christian faith-traditions lived for a long time. After the connection was completely restricted over time with other Christian areas and churches of Georgia there was almost no clergy left in the Ajara region, the rules of burial and grave arrangement were lost.

burying the deceased in the yard of one's own house In the villages of Adjara, cannot be considered as a manifestation of the way of life of the inhabitants of this area.

Due to the religious influence, it was not possible to draw a photo on the tombstone, but also to write the name and surname.

The arrangement of the aforementioned started in the mountainous Adjara from the end of the 70s of the 20th century, and in the Kobuleti region and Batumi - earlier. In Taos and Imerkhevi, nothing is written on the gravestones except the name and surname. It was not even possible to take a photo before the rule of Mustafa Kemal Atatürk.

The religious-political and social approaches of foreigners, lack of agricultural land in feudal Ottomans contributed to the loss of Georgian tradition.

გრიგოლ ჯოხაძე

# ტაძარი, ვითარცა მეორე ცა (შუა საუკუნეთა სალიტერატურო კანონის, ბიბლიური დისკურსისა და დავით აღმაშენებლის ქართული ისტორიული ნარატივის ერთი ტოპოსის გაგებისათვის)

შუა საუკუნეთა ეპოქის ადამიანი სამყაროს სიმბოლურ-ალეგორიულად აღიქვამდა, ბუნებას ღვთაებრივი ძალისა და მშვენიერების ანარეკლად მიიჩნევდა (Эко 2003: 71). სამყარო მისთვის წმინდა წიგნი იყო, რომლის ბიბლიასავით წაკითხვასაც ელტვოდა. სიმბოლური აზროვნების წყალობით ღვთაებრივი დიდებულებისა და მარადიულობის განცდა გადაედინებოდა გრძნობისმიერად აღქმულსა თუ გააზრებულ სამყაროში. აქ მარადიულად დუღდა თუ იწვოდა ცხოვრების მისტიკური შეგრძნება და, შესაბამისად, ინახებოდა კიდეც. სიმბოლიზმი შუასაუკუნეობრივი აზროვნების ერთგვარი ცხოველმყოფელი სუნთქვა იყო (Хёйзинга 1988: 226, 235).

შუა საუკუნეთა სიმბოლიზმი და ალეგორიზმი მჭიდროდ ჩასწვნოდა ერთიმეორეს, განმსჭვალულიყო ერთურთით. პოეტური სიტყვის ოსტატები და, ზოგადად, ინტელექტუალები ცდილობდნენ, წმინდა წერილის ენით ელაპარაკათ (Эко 2003: 93). მისტიკურ-საღვთისმეტყველო ტექსტები ბიბლიას ეყრდნობოდა, გაჯერებული იყო ალეგორიულ-მეტაფორული ხატ-სახეებით, რაც მეტწილად განაპირობებდა კიდეც სალიტერატურო ენის პოეტიკას.

რელიგიური დისკურსი ინსტიტუციურია. მას ახასიათებს კომუნიკაციის ძირითად მონაწილეთა იერარქია (ღმერთი–მოძღვარი–მრევლი), ქრონოტოპოსი (ტაძარი–ღვთისმსახურება), ღირებულებათა და ქცევის ნორმათა დანერგვა (ძირითადი ღირებულებრივი კონცეპტი – „რწმენა“), პრეცედენტული ტექსტები, ჟანრები, მიზნები და მათი შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიები (ლოცვითი, სააღმსარებლო, განმარტებითი და სხვ.), რელიგიური წრეებისათვის ნიშანდობლივი სამეტყველო კლიშეები და სხვ. (Карасик 2004: 221-230; Анисимова 2010: 30-43).

თუმცა რელიგიური დისკურსის ფიგურანტებს სოციალური ფუნქციები და მოვალეობები კი არ აერთიანებს, არამედ – სულიერი სწრაფვანი. საუბარი და დისკუსია რადგან რელიგიურ თემაზეა, იერარქიას უკუაგდებს, ხოლო მონაწილეებს ათანაბრებს და ათანასწორებს. არც ქრონოტოპოსია მუდმივად ტაძარი: ტერიტორია ფართოვდება. რელიგიური დისკურსის მთავარი მიზანი რელიგიური მოძღვრების გავრცელება და ადამიანთა მეხსიერებაში საკრალური ცოდნის, სულიერ ფასეულობათა და ქცევის ნორმების სხვადასხვა ფორმითა (კანონიკური, ლიტურგიკული, დიდაქტიკური, ჰომილეტიკური და სხვ.) და მიდგომით (ფუნქციური, პრაგმატული, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვ.) დამკვიდრებაა (Таривердиева).

რელიგიური დისკურსის ტიპებში, წესისამებრ, ბიბლიურ ტექსტებს არ აერთიანებენ, აქაოდა დისკურსი „ცხოვრებაში ჩაფლული მეტყველებაა“, მას ვერ გამოვიყენებთ სხვა და ძველი ტექსტების მიმართ, რომელთა კავშირიც ცოცხალ ცხოვრებასთან უშუალოდ არ აღდგებაო (Арутюнова 1998: 136-137).

ეს ალბათ ზედმეტი კატეგორიზმია. ჯერ ერთი, ბიბლიური ტექსტები (როგორც წერილობითი მეტყველების ფორმა) დროს „ფეხს უწყობს“ და საზოგადოება მათ დღესაც აქტიურად იყენებს. მეორეც, ისტორიული ნარატივის მთხრობელი თავისი დროისა და საზოგადოების ენით გვესაუბრება; მისი აუდიტორიისათვის ბიბლიური ტექსტი ნიშანდობლივი, მისაღები და გასაგებია. მიშელ ფუკო დისკურსის სოციალურ-ისტორიულ შემადგენელს

გამოყოფდა და მას საერთოდაც ისტორიის ფრაგმენტად მიიჩნევდა (Foucault 1972: 19).

თუ გავითვალისწინებთ სოციალური ლინგვისტიკის საურთიერთო მოდელებს (ბრაუნი 1979; ფიშმანი 1976) და რელიგიური დისკურსის სტრუქტურას, შესაძლებლად გვესახება ბიბლიური დისკურსის რელიგიურთან შედარება. ინსტიტუციური დისკურსის მონაწილეებად გვევლინებიან აგენტები – ვინც აქტიურ როლს ასრულებს ინსტიტუციური ურთიერთობისას, და კლიენტები – ვინც მიმართავს აგენტს და საზოგადოებას განასახიერებს. რელიგიურ დისკურსში აგენტი მღვდელმსახურია, კლიენტი – სამწყსო, ბიბლიურში კი აგენტი ბიბლიური ტექსტის ავტორია, კლიენტი კი – მკითხველი. მეტი მონაწილის მისაზიდად გამოიყენება ინკლუზიური (ბიბლიური ტექსტების) ენა. ბიბლიურ ტექსტებს ნებისმიერ დროსა და ადგილას კითხულობენ. შემეცნებითი ფუნქციის გარდა, აქ დიდაქტიკაც იჩენს თავს. ბიბლიური დისკურსი ინახავს ცხოვრებისეულ ღირებულებათა მომცველ მთელ ინფორმაციას, რომლის გარკვეული ნაწილიც რწმენით ღირებულებებს გულისხმობს: ღვთის აღიარებას, ადამიანური ბუნების ცოდვილობის შეგნებას, ცოდვისა და მადლის გაგებას, სულის ხსნას, სასწაულის შეგრძნებას, წეს-ჩვეულებათა დაცვას... (Михайлова).

რელიგიური დისკურსის არსი ფასეულობათა ღია დანერგვაა. ბიბლიური დისკურსის სპეციფიკად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ ბიბლიურ ტექსტებში ფასეულობა ხშირად ფარული, საგულისხმებელი და საწვდომია. ბიბლიური დისკურსის მიზანი ადამიანის ღმერთსა და ზნეობრივ-ეთიკურ საუნჯესთან ზიარებაა. ბიბლიური ტექსტები „საკრალურ ტექსტებს“ განეკუთვნება (Адмони 1994).

აქ შეინიშნება უტილიტარული ენისაგან ერთგვარი დისტანცირება, რითაც ეს ტექსტები შესაძლოა დახშულ სისტემებადაც კი მივიჩნიოთ (Кухаренко 2002).

საკრალური ტექსტი „დასრულებულია, მისი ელემენტები შემდგომ განვითარებას, ამოღებას ან შეცვლას არ ექვემდებარება... მათი განმარტებაღაა შესაძლებელი“ (Рудик 2005: 60).

*

„ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი ტექსტის – „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ – გელათის აგებისადმი მიძღვნილი ფრაგმენტის მეტაფორიკა არაერთხელ გამხდარა სამეცნიერო რეფლექსიის საგანი.

გავიხსენოთ ეს პასაჟი.

დავითი, ღმერთის მიერ მისდამი სათნოების გამომჟღავნების სანაცვლოდ („...ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა... წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა... მოსცემდა ჟამად-ჟამად ძლევათა საკვირველთა... უძღოდა ძალითი-ძალად...“), არ იღლებოდა „ტალანტთა გამრავლებად, არამედ სრულითა გულითა მსახურებდა და მათ იქმოდა, რომელნი ნებისა ღმრთისად დაამტკიცნის და სათნოყოფილად მისდა აღუჩნდის...“ (ქართლის ცხოვრება 1955: 329).

ტალანტების იგავი (მათე, 25) საკუთრივ დიდი მეტაფორაა და ის ცალკე მსჯელობას იმსახურებს. აქ მოკლედღა ვიტყვი, რომ „ტალანტთა განმამრავლებელი“ ის მორწმუნეა, რომელსაც მეტი თვინიერება, ადამიანთა სიყვარული, სიმშვიდე და სიხარული დავანებია გულში. სწორედ ის მიაღწევს იმას, „რაც არ უხილავს თვალს, არ სმენია ყურს და არც კაცს გაუვლია გულში, ის განუმზადა ღმერთმა თავის მოყვარეთ“ (პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 2,9).

ღვთის კეთილგანწყობის ტალანტი დავითს საგანგებოდ არ დაუფლავს და უფლისთვის მონასტრის აშენებით უპასუხია; მეტიც, იმ მადლს გამოურჩევია ადგილი, რომელიც მისთვის ღმერთს უბოძებია („გამოირჩია მადლმან საღმრთომან“) – ყოვლად მშვენიერი და **ყოვლითურთ უნაკლულო.** ეგებ აქ 22-ე ფსალმუნის ექოც („უფალმან მმწყსოს მე და მე **არა მაკლდეს**“...) მოისმის? უნდა ვიფიქროთ, რომ ტალანტების იგავი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში ძალზე პოპულარული ყოფილა და ხშირადაც მოუხმობდნენ მეფეთა შესაქებად (იოვანე შავთელი 1920: 14).

ახალი ტაძარი აღემატებოდა ადრე აშენებულთ ყოველგვარიპარამეტრით:სივრცით,ნივთებით,სიწმინდითა და პატიოსანი ნაწილებით, ტახტებითა და საყდრებით, სასანთლეებითა და მოხატული კედლებით, დატყვევებული

მტრებისთვის წართმეული გვირგვინებითა და მანიაკებით, ფიალებითა და სასმისებით; ასევე – მეფის მიერ მოწვეული სულიერად და ხორციელად გამორჩეული წმინდა მამებით. დავითს გაძევებული ლიპარიტის მამული სარჩოდ მიუცია მონასტრისთვის, ასე ვთქვათ, უზრუნველი ტრაპეზი განუჩენია. გელათი გამხდარა მთელი აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმი და სხვა ათენი (ქართლის ცხოვრება 1955: 330-331).

ამ ცნობის პოეტურ ტრანსმუტაციად მიაჩნიათ იოანე შავთელის („აბდულ-მესიანი“) სტროფი, რომელშიც ავტორი თითქოს გელათს „ახალ რომს“ უწოდებდა და საბერძნეთს ადარებდა: „ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა: ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა“ (იოვანე შავთელი 1920: 35).

თუ კონტექსტს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულება საერთოდაც მცდარია: ეს ტაეპი გელათს კი არა, მონარქს (ამჯერად უმნიშვნელოა, კერძოდ, რომელს!) უნდა მიემართებოდეს. სწორედ ის არის ახალი რომი, რომელიც არსებულ მეფეთაგან ყველაზე დიდი, ყველაზე მეტია. ავტორი შენატრის ელადად მიჩნეულ გელათს, სადაც მეფის ცხედარს დაკრძალავენ. კ. კეკელიძის შენიშვნისამებრ, „მეხოტბის (იოანე შავთელის – გ.ჯ.) დროს გელათი უკვე საზოგადოდ მიჩნეული საკრძალავი ყოფილა“ (კეკელიძე 1952: 178).

აღსანიშნავია, რომ ამავე ტექსტში ნახსენებია ათენი, როგორც სიბრძნის კერა („შემოკრბით, ბრძენნო, ათინელთ ძენო...“) და, ჩემი აზრით, რომიც („აწღა რო მითა, აწღა რომითა ეს მოგვანიჭა ქრისტეს მიერად“). მ. ჯანაშვილი ამ სტრიქონს სხვაგვარად განმარტავს (იოვანე შავთელი 1920: 9, 25, 51). ეგებ ამან განაპირობა საყოველთაოდ გავრცელებული აზრის გაჩენა და უმსჯელო ექსტრადიცია თაობიდან თაობაში?!

ახლა კი – „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოხმობილი პასაჟიდან ყველაზე პოპულარულ მითითებაზე, რომ დავითმა გელათი „მეორედ იერუსალემად“ და „სხვად ათინად“ აქცია. ბარემ დავურთოთ: სასწავლოდ ყოვლისა

კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა (ქართლის ცხოვრება 1955: 330-331).

პოპულარულია ამგვარი ინტერპრეტაცია: გელათი იყო ისეთი რელიგიური ცენტრი, ისეთი დონის სასულიერო სავანე, როგორიც იერუსალიმია, ქრისტიანული კულტურის თვალსაზრისით, და, მეორე მხრივ, ანტიკური ელინური სიბრძნის ისეთი უდიდესი კერა, როგორიც იყო ათენი; თან – „ფრიად უაღრეს მისსა“, ანუ, მასზე დიდი, რადგან ათენი წარმართული გახლდათ, ხოლო გელათი – საღვთო წესებით გამდიდრებული და აღზევებული (გამსახურდია 1990: 90).

თუ გავიხსენებთ მე-2 საუკუნის წმინდა მამის, ნახევრად ერეტიკოსი ტერტულიანეს რიტორიკულ კითხვას: „რა საერთო აქვს ათენსა და იერუსალიმს, აკადემიას და ეკლესიას?“, მეორე ინტერპრეტაციას მის პასუხადაც კი მივიჩნევთ: სწორედ გელათში შეერწყა ერთმანეთს ანტიკური და ქრისტიანული განათლების სისტემა; აქ ჩაეყარა საფუძველი ბიზანტიური ნეოპლატონიზმის ფორმით გადმოცემული ელინური ფილოსოფიის შესწავლასა და ნეოპლატონიკოსთა მიერ დამუშავებული არისტოტელესეული „ლოგიკის“ გამოყენებას ქრისტიანული მოძღვრების დასასაბუთებლად (მელიქიშვილი 2006: 23-34).

თუმცა საგანგებოდ გასააზრებელი გვგონია ერთი ტოპოსი ამ საქვეყნოდ ცნობილი პასაჟიდან, რომელიც ჩვენ საგანგებოდ გამოვტოვეთ.

კორნელი კეკელიძეს, მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით, ჩვენთვის საინტერესო ციტატა ასე მოჰყავს: დავითმა „მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა, რომელიცა გამოარჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა, **რომელსა შინა მერმე ცაი გარდაართხა**, ტაძარი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა...“ და ა. შ. (კეკელიძე 1980: 108).

თედო ჟორდანია სხვაგვარად ფიქრობდა: ის ეყრდნობოდა 985-1014 წწ. წარწერას, ე.წ. გელათის გულანის ტექსტს და მიიჩნევდა, რომ გელათის მონასტერი პირველად აღუშენებია ბაგრატ III-ს. ამის დამტკიცების სურვილი მას „დამახინჯებულად“ მიაჩნევინებდა „ქართლის ცხოვრების“

ცნობას („რომელსა შინა /ანუ გელათში – გ.ჯ./, ვითარცა **მეორე ცა,** გარდაართხა /დავით აღმაშენებელმა – გ.ჯ./) ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 329) (პუნქტუაცია ჩვენია – გ.ჯ.). „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხებში, ნაცვლად სიტყვათშეთანხმებისა – „**მეორე ცა**“, „**მეორეცა**“ წერია, ანუ, მეორე ეკლესია ააშენა, პირველი კი, როგორც ადრე ვამტკიცებდი, ადრეც ყოფილაო (ქრონიკები 1892: 144).

„ქართლის ცხოვრების“ 1955 წლის გამოცემაში, რომელიც შედარებულია ყველა სხვა არსებულ ტექსტთან, ფრაზა: „რომელსა შინა მერმე ცაი გარდაართხა“, არ გვხვდება. „რომელსა შინა მერმე“, რაც, თავისთავად, შუასაუკუნეობრივ ტექსტში, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურობის განცდას ჰბადებს, ასეა შეცვლილი: „რომელსა შინა, ვითარცა მეორე ცა, გარდაართხა ტაძარი“... (ქართლის ცხოვრება 1955: 329).

„ქართლის ცხოვრების“ ბოლო, 2008 წლის გამოცემაშიც ასეა: „რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაჲ გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა დედისა ღმრთისაჲ“ (ქართლის ცხოვრება 2008: 312).

თუ 1955 წლის გამოცემაში „გარდაართხა“ ზმნის განსამარტებლად სქოლიოში მითითებულია მხოლოდ ესაიას ციტატა (40, 22), 2008 წლის გამოცემაში იმავე ინტენციას ემსახურება ფრაგმენტები იერემიას წინასწარმეტყველებიდან (10,12) და 103-ე (2) ფსალმუნიდან (ქართლის ცხოვრება 2008: 312).

მაშასადამე, დავითის ისტორიული ნარატივის ავტორს ბიბლიით მორიგად უსარგებლია: ლამის ყოველი მეორე პასაჟიდან სჭვივის ბიბლიური ალუზიები. 1955 წლის გამოცემაში ციტატა ესაიას წინასწარმეტყველებიდან (40, 22) სქოლიოში მოყვანილიც კია: „რომელმან გარდაართხა ცაი ვითარცა კამარაი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 329).

2008 წლის გამოცემაში, როგორც აღვნიშნე, მხოლოდ ბიბლიის წიგნების სათანადო ადგილებია მითითებული.

საქართველოს საპატრიარქოს პატრონაჟით გამოცემულ ბიბლიაში ეს ადგილები ასე იკითხება: „რომელმან დაადგინა, ვითარცა კამარა, ცაჲ და გადაართხნა, ვითარცა კარავი დამკჳდრებად“ (ესაია, 40, 22); უფალმა... „ცნობისა

მიერ თვისისა გარდაართხა ცაჲ“ (იერემია, 10, 12); „უფალო... შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი, გარდაართხენ ცანი, ვითარცა კარავნი“ (ფსალმუნი 103, 2).

ამგვარად, ტექსტში უნდა იყოს და 1955, 2008 წლებში გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ არის კიდეც ბიბლიური „ცის გარდართხმა“. თუმცა დავით აღმაშენებლის ისტორიული ნარატივის ავტორი მორიგად ანაცვლებს სუბიექტებს: ბიბლიაში უფალი „ცათა გარდაართხამს“, ჩვენს ტექსტში დავითი – ტაძარს (ქართლის ცხოვრება 1955: 329).

ტაძრის ცასთან შედარება ახალი, ცხადია, არ არის: ტაძარი სახეა როგორც უხილავი, ისე ხილული ქვეყნისა. არქიტექტურულადაც კი ტაძრის ერთი ნაწილი – საკურთხეველი – როგორც უმაღლესი ძალებისადმი მიძღვნილი მღვდელმსახურების აღსასრულებელი ასპარეზი, უხილავ ზეცას გამოხატავს. საკურთხეველი განასახიერებს ხელთუქმნელ ზესთასოფელს, შუა ტაძარი – ცას, სტოა კი – მიწას. ტაძარი ცაა ქვეყანასა ზედა, უფლის სახლია, რომელიც მთელ გადარჩენილ და გადარჩენის მნებებელ ქვეყნიერებას მოიცავს. გუმბათით დასრულებული ტაძარიც ცას გამოსახავს, და ა. შ.

ამგვარად, ყოვლად შვენიერსა და ყოვლად უნაკლულო ადგილზე, საღვთო მადლს რომ გამოურჩევია, დავითის მიერ ტაძრის, როგორც მეორე ცის, გადაფენა, გადაჭიმვა თუ გადაკვრა (სწორედ ამ ზმნებს ვხვდებით „გარდართხმის“ სინონიმად ძველი ქართული ენის ცნობარებში), გასაკვირად არ უნდა დაგვრჩენოდა.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ეპითეტმა „**მეორე**“ („ვითარცა მეორე ცა“); დავით აღმაშენებლის მემატიანეს უყვარს დავითის ამგვარი დახასიათება: ახალი ალექსანდრე, სხვა პტოლემეოსი და სხვა მაგალითები „მეორის“ კონოტაციას ითავსებს. სხვა რომ არაფერი, უკვე განხილული „მეორე იერუსალემიცა“ და „სხვა ათინაც“ ამას ადასტურებს.

მაგრამ ეპითეტი „მეორის“ ახსნა უფრო „საჭოჭმანო საქმეა“ ცის მიმართ, ვიდრე – იერუსალიმისა და ათენისა.

იოანე დამასკელის აზრით, ებრაულ ენას ახასიათებს ცის მრავლობითად წოდება (შამაიიმ;) „ცანი ცათანი“; „განვლა ცანი“; „თვით მათ ცათა“ და სხვ.) და, შესაძლოა, ცის

შვიდი სარტყელი სულაც შვიდ ცად მივიჩნიოთ, როგორც ეს გვიანდელ იუდაიზმშია (წმინდა იოანე დამასკელი).

მაგრამ ჩვენს ტექსტში მოყვანილი ციტატა გამორიცხავს ცათა იერარქიას, ასე ვთქვათ, რიგითობის ასპექტს (ვთქვათ, მეორე ცა, მეშვიდე ცა და ა.შ.). შვიდი ცა არც ბიბლიაში გვხვდება. მაგალითად, პავლე მხოლოდ მესამე ცას ახსენებს: „აღიტაცა... კაცი ვიდრე მესამედ ცადმდე“ (2 კორინთელთა მიმართ, 12, 2). თუმცა იუდაური ტრადიცია ცათა იერარქიას აღიარებს: ამას გულისხმობდა იოანე დამასკელი (იხ. Ангелология; Dictionary of Angels 1967: 340; The legends of the jews 1909; Dictionary of Theological Terms 2014; Талмудические Трактаты 2011).

ჩვენს ტექსტში გამოყენებული ბიბლიური შესიტყვება და, კერძოდ, ეპითეტი „მეორე“ აქაც „სხვის“ კონოტაციას ითავსებს – სხვა ცა იგულისხმება.

უფრო კონკრეტულად:

სიტყვა „გარდართხმა“ „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომისათვის (1955) დართულ ლექსიკონში „გადაფენად, გადაკვრად“ განიმარტება (ქართლის ცხოვრება 1955: 435). გარდართხმა – „გარდაფენასავითო“, – გვაუწყებს სულხან-საბა ორბელიანიც (ორბელიანი 1991: 147).

მეტიც: ქართლის ცხოვრების ორივე გამოცემაში (1955, 2008) მითითებულ ბიბლიურ ციტატებს ჩვენ დავუმატებდით კიდევ ერთ მათგანს: „ასე ამბობს ღმერთი, უფალი, ცათა შემოქმედი და მათი გარდამთხმელი“ (ესაია 42, 5).

დავითის ნარატივში მოხსენიებული „მეორე ცა“ „მეორე“, ,,სხვა“, ,,უცხო“ იმდენადაა, რამდენადაც მანამდე უხილავს გულისხმობს.

საქმე ის გახლავთ, რომ ცას ბიბლიაში თავისი ნარატივი აქვს: მისი შექმნიდან ვიდრე მის წარხდომამდე, სამოსელივით დაძველებამდე, კვამლივით განქარებამდე... ახდება უფლის მიერ ესაიასთვის ნათქვამი სიტყვები: „აჰა, შევქმნი ახალ ცას...“ („რამეთუ იყოს ცაჲ ახალი და ქუეყანა ახალი“, ესაია, 65, 17).

ახალ აღთქმაში სწორედ ამას მიელტვიან და ელიან: „ახალთა ცათა და ახალსა ქვეყანასა მსგავსად აღთქუმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკჳდრებულ არს“ (2 პეტრე, 3, 13).

...და ერთხელაც ცა დახსნილთა, გადარჩენილთა სამყოფლად გადაიქცევა. იგულისხმება უხილავი ცა, უზენაესის ტახტის დამტეველი, რომელსაც წმინდა წერილში რამდენიმე სახელი ჰქვია: სამოთხე, სასუფეველი ცათა, უფლის სამეფო, ზეციური სამშობლო... და ბოლოს: ახალი და ზეციური იერუსალიმი.

იოანეს გამოცხადებაში ეს ნათლად ჩანს, რამდენადაც კი შეუძლია კაცს ღვთიური სინათლისთვის თვალის გასწორება: „და ვიხილე ცაი ახალი და ქუეყანაი ახალი, რამეთუ პირველ იგი ცაი და პირველ ქუეყანაი წარხდეს“ (იოანე, გამოცხადება, 21, 1); „და ქალაქი იგი წმიდაი, იერუსალიმი ახალი ვიხილე, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან, განმზადებული ვითარცა სძალი, შემკული ქმრისა მიმართ თვისისა“ (იქვე, 2).

ამან ათქმევინა ათანასე დიდს: „საღვთო განგებულება ცას ისე გარდაართხამს, როგორც მხატვარი გადაჭიმავს ტილოს. ეს ხსნის იმ ქმედებასაც, მამკვიდრებელი რომ სჩადის, და იმ მოქნილობასაც, რომელსაც ავლენს. თუ ადამიანს არად უღირს ტყავის გაჭიმვა, ღმერთსაც ეადვილება ჯერ არარსებული ზეცის შექმნა. მაგრამ დავითს სხვა უფრო მაღალი აზრისაკენ მივყავართ: კერძოდ, იმას შეგვაგონებს, რომ ჩვენ სხვა ცხოვრებისაკენ მიმავალ გზას ვადგავართ; რომ აწმყო მყოობადის აჩრდილია და ჯერ არ შეგვიბიჯებია ტაძარში, ჯერ საქაო ცხოვრებით ვცხოვრობთ, კარავში ვიმყოფებით; კარავი კი ის არის, რის დანგრევაც შესაძლებელია, თანაც – მალევე. ამის მსგავსად, ოდეს ცა შეიცვლება, სხვა ცხოვრება დადგება, დღევანდელზე უკეთესი, და იქნება ახალი ცა და ახალი მიწა“ (Афанасий Великий 1902-1903: 36-423).

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ტექსტში „ახალი ცის“, როგორც „სამკვიდრებლისა ღმრთისა კაცთა თანა“, გამოჩენა იმას უნდა მოასწავებდეს, რომ გელათის აგებით დავითმა, როგორც განსხეულებულმა ღმერთმა, როგორც ამას არაერთხელ აღმოთქვამს მემატიანე, დაასრულა, წარახდინა, განაქარვა ძველი, ცოდვილი, დაცემული სამყარო და აქ, მიწაზე, ახალი საღვთო ქალაქი, ახალი იერუსალიმი დაადგინა. „მეორე ცა“ და „ახალი იერუსალიმი“ აქ ლამის ერთურთის სინონიმებია.

დასასრულ, შესაძლებლად გვესახება რამდენიმე მოსაზრების გახმაურება:

ა. შუა საუკუნეთა ლიტერატურა იგავური ენით გვესაუბრება – ასე ბაძავს ის საღმრთო წერილს. შესაბამისად, ყველა ციტატასა თუ ალუზიას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ:; ყველა მათგანი რაღაც ინფორმაციას გვიზიარებს და ეს თავისთავად საგულისხმებელი სულაც არ არის!

ბ. დავითის ქართული ისტორიული ნარატივი აპოლოგიაა: მისი ავტორი უფალს ხშირად დავითით ანაცვლებს და ასე ამართლებს მეფის ამა თუ იმ ნაბიჯს. ის, ცალკერძ, მიუთითებს მეფის, ასე ვთქვათ, პროფანულ აქტივობაზე (ტაძრის აგება და, საერთოდ, აღმშენებლობა), მეორე მხრივ კი – საკრალურზე. აქ ტაძარიც რომ თავის როლს არ ასრულებდეს, მიუცილებელია სულიერი, სამომავლო მნიშვნელობა. ასე უძებნის მემატიანე თავისთავად დასაფასებელ, მაგრამ ეგზოტერულ, საქმიანობას საღვთო ლეგიტიმაციის საფუძველს.

გ. ერთხელ და სამუდამოდ დადგენილად გამოცხადება მხოლოდ აღარიბებს, უინტერესოს ხდის და „აბერწებს“ ტექსტებს: მათ შორისაა გელათთან დაკავშირებული საქვეყნოდ ცნობილი პასაჟებიცა და მათი მნიშვნელობაც.

ავტორი ბედნიერად ჩათვლის თავს, თუ მკითხველი ამ სტატიასაც ახალი ჰერმენევტიკისაკენ მოწოდებად აღიქვამს.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები


გამსახურდია 1990 – გამსახურდია ზ., საქართველოს სულიერი მისსია, თბილისი, 1990.

კეკელიძე 1952 – კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. თბილისი, 1952.

კეკელიძე 1980 – კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1980.

მელიქიშვილი 2006 – მელიქიშვილი დ., გელათი - ,,სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“: გელათი-900. თბილისი, 2006.

ორბელიანი 1991 – ორბელიანი ს.-ს., სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. თბილისი, 1991.

ქართლის ცხოვრება 1955 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I. თბილისი, 1955.

ქართლის ცხოვრება 2008 – ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 2008.

ქრონიკები 1892 – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი I. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტფილისი, 1892.

იოვანე შავთელი 1920 – იოვანე შავთელი, აბდულ-მესიანი. მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობითა და განმარტებით. ტფილისი, 1920.

წმინდა იოანე დამასკელი – წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თავი მეოცე, ცის შესახებ https://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/damaskeli/20.htm#sthash.XBlozeum.dpuf

Ангелология – Еврейская энциклопедия Брокгауза и Ефрона, https://ru.wikisource.org/wiki/ЕЭБЕ/Ангелология.

Brown 1979 – Brown P., Fraser C. Speech as a Marker of Situation // Social Markers in Speech. Cambridge: Cambridge University Press, 1979.

Dictionary of Angels 1967 – A Dictionary of Angels, including of fallen angels, by Gustav Davidson, THE FREE PRESS, A Division of Simon & Schuster lnc. New York, 1967.

Dictionary of Theological Terms 2014 – The Westminster Dictionary of Theological Terms, SECOND EDITION, Revised and Expanded, Donald K. McKim, 2014.

The legends of the jews 1909 – The Legends of the Jews, by louis Ginzberg, Translated from the German Manuscript by Henrietta Szold, volume i, Bible times and characters from the creation to Jacob, 1909, https://www.sacred-texts.com/jud/loj/index.htm.

Fishman 1976 – Fishman J. A. The Sociology of Language: An Interdisciplinary Approach to Language in Society // Advances in the Sociology of Language. Vol. 1. The Hague: Mouton, 1976.

Foucault 1972 – Foucault M. The Archaeology of Knowledge. London: Routledge, 1972.

Адмони 1994 – Адмони В. Г. Система форм речевого высказывания / РАН Ин-т лингв. исслед. СПб., 1994.

Афанасий Великий 1902-1903 – Святитель Афанасий Великий. Творения в четырех томах. Том IV. М.: Спасо-Преображенский Валаамский монастырь, 1994. с. 36-423. Репринтное воспроизведение издания: Свято-Троицкая Сергиева Лавра, 1902-1903, из фондов Государственной Исторической библиотеки. http://www.orthlib.ru/Athanasius/ps103.html.

Анисимова 2010 – Анисимова Е. Е., О типологизации религиозного дискурса (к постановке проблемы) // Религиозная коммуникация: конфессиональный и лингвистический аспекты. Москва, 2010. с. 30-43. (Вестн. Моск. гос. лингвист. ун-та, вып. 583. Сер. Языкознание).

Арутюнова 1998 – Арутюнова Н. Д., Язык и мир человека. Москва, 1998

Эко 2003 – Эко У., Искусство и красота в средневековой эстетике. Пер. с итал. А. П. Шурбелева. СПб., Алетейя, 2003.

Карасик 2004 – Карасик В. И., Языковой круг: личность, концепты, дискурс. Москва, 2004.

Кухаренко 2002 – Кухаренко В. А., Интерпретация текста. Одесса, 2002.

Михайлова – Михайлова Е. В., Особенности англоязычного библейского дискурса в лингвокультурологическом освещении, http://dspace.nbuv.gov.ua/bitstream/handle/123456789/55130/15-Mikhaylova.pdf?sequence=1.

Рудик 2005 – Рудик И. В., Англоязычная проповедь как специфический вид речевого акта (фоностилистическое исследование): Дис. …канд. филол. наук: 10.02.04. Одесса, 2005.

Талмудические Трактаты 2011 – Талмудические Трактаты: пиркей авот, авот де-рабби натан, под редакцией реувена кипервассера, мосты культуры, gesharim, Москва, Иерусалим, 2011.

Таривердиева – Таривердиева М. А., Религиозный дискурс в средневековье (люди, идеи, тексты), https://cyberleninka.ru/article/n/religioznyy-diskurs-v-srednevekovie-lyudi-idei-teksty.

Хёйзинга 1988 – Хёйзинга Й., Осень Средневековья. Исследование форм жизненного уклада и форм мышления в XIV и XV веках во Франции и Нидерландах. / Пер. Д. В. Сильвестрова. Москва, 1988.

Grigol Jokhadze

## A TEMPLE LIKE ANOTHER VAULT OF HEAVEN (TOWARDS THE ISSUE OF UNDERSTANDING OF THE MEDIEVAL LITERARY CANON, BIBLICAL DISCOURSE AND ONE TOPOS IN DAVID THE BUILDER'S HISTORICAL NARRATIVE)

The article deals with the hermeneutics of one topos (A Temple, Like Another Vault of Heaven) in David the Builder's historical narrative which is based on the observation and interpretation of issues of the medieval symbolism and theoretical aspects of biblical discourse. As the research has shown we are faced with the modified quotation of the Bible, and the different context is not able to change either objective point or the substance of the fact: the subject – God - is substituted for the figure of the king. From the one hand, chronicler stresses the material, physical side of the king's building activity and for the other – highlights the spiritual, prospective meaning of the event and, by this way, finds out the basis for the divine legitimation. With this design he refers to Biblical discourse and exegesis.

triarchate of Georgia has Radio "Iveria" and TV Broadcasting "Ertsulovneba". Different types of periodicals and scientific papers are published by the Patriarchate.

Catholicos-Patriarch of Georgia established a close relationship with the creative intelligentsia. Currently, several scientific centers operate on the base of the Patriarchate. In 1995, on the initiative of Patriarch and President E. Shevardnadze, the Gelati Academy of Sciences, founded by Davit Agmashenebeli (David the Builder) in the 12th century, was revived.

The following universities function on the basis of the Patriarchate: Tbilisi St Andrew the First-Called Georgian University, St Quenn Tamar University, St Giorgi Mtatsmindeli Higher Educational Institution of Ecclesiastical Chant, a similar university exists in Poti and Khichauri, in mountainous Ajaria.

Catholicos-Patriarch of Georgia, Ilia II, is engaged in a second creative activity. He is carried away by painting - he painted the icons of the Lord, the Mother of God, Prophet David, St. Vakhtang

Gorgasli, St. Queen Tamar , St. George and other icons. His Holiness Ilia II also made a great contribution to the development of Georgian church hymns. He is the author of Georgian hymns: “Come to me, Lord,” “Lord Jesus Christ,” “Holy God,” “Our Father,” “Prater for the dead,” “My supplication” and others. Among the patriarch’s hymns, “Kyrie eleison” and “Ave-Maria” are especially noteworthy, which deserve the attention of foreign and Georgian specialists in the respective field.

In the final part of the paper, it is mentioned that the patriarch called his past life path “sunny night”.

## ავტორთა მონაცემები

**მერაბ კეზევაძე**
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენ-ტრალური არქივის დირექტორი, ისტორიის დოქტორი.

**მერაბ ურუშაძე**
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის ხმის რეჟისურის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი.

**თეა ქობულაძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**დავით შავიანიძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

**ლუიზა ხაჭაპურიძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

**გრიგოლ ჯოხაძე**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

## CONTRIBUTORS

**MERAB KEZEVADZE**
Director of the Kutaisi Central Archive of the National Archives of Georgia, Doctor of Historical Sciences.

**MERAB URUSHADZE**
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, Film and TV Fakulty, sound director, Professor.

**TEA KOBULADZE**
Akaki Tsereteli State University, PhD Student.

**DAVID SHAVIANIDZE**
Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Histoy.

**LUIZA KHACHAPURIDZE**
Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology.

**DRIGOL JOKHADZE**
Professor of Ilia State University, Doctor of History.

# სარჩევი

**საადღგომო ეპისტოლე** ..... 3

**მერაბ კეზევაძე –** გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა (1811-1923). წერილი პირველი ..... 12

**მერაბ ურუშაძე –** მუსიკის ზეგავლენა ადამიანის ფსიქიკაზე ..... 31

**თეა ქობულაძე –** პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის" ავტორისეული ტექსტოლოგიური სწორებანი... 40

**დავით შავიანიძე, ლუიზა ხაჭაპურიძე –** საფლავის მოწყობის ტრადიციები აჭარასა და ტაო-კლარჯეთში (უახლესი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით) ..... 47

**გრიგოლ ჯოხაძე –** ტაძარი, ვითარცა მეორე ცა (შუა საუკუნეთა სალიტერატურო კანონის, ბიბლიური დისკურსისა და დავით აღმაშენებლის ქართული ისტორიული ნარატივის ერთი ტოპოსის გაგებისათვის) ..... 59

**ავტორთა მონაცემები**.....74

## CONTENTS

**EASTER EPISTLE** ..... 4

**MERAB KEZEVADZE** - Governance and Management of Gelati Monastery (1811-1923) ..... 12

**MERAB URUSHADZE** - Influence of music on human psyche ..... 31

**TEA KOBULADZE** - Textological corrections by Polikarpe Kakabadze "Kvarkvare Tutaberi" ..... 40

**DAVID SHAVIANIDZE, LUIZA KHACHAPURIDZE** - Traditions of grave arrangement in Adjara and Tao-Klarjeti Georgia (according to the latest ethnographic materials) ..... 47

**GRIGOL JOKHADZE** - A Temple like Another Vault of Heaven (Towards the issue of understanding of the medieval literary canon, biblical discourse and one topos in David the Builder's historical narrative) ..... 59

**CONTRIBUTORS** .....74

**ავტორთა საყურადღებოდ:**
რედაქციაში ნაშრომის ელექტრონული ვერსია
წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:
gelatisakademia1@gmail.com

**დამკაბადონებელი**
**შორენა ხუნდაძე**

**რედაქციის მისამართი:**
**ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №59.**
**ტელ.: რედაქტორის: 577 28-28-61;**
**პასუხისმგებელი მდივნის: 598 10-14-72.**